დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გარისახოს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა ედიშერაშვილი

წევრები:

ირმა ტატიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
მარინე ვაჩეიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევანი ლარცულიანი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ლია ნადირაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
თეოდორა ლემონჯავა (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	229281363

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბარისახო
ფაქტობრივი მისამართი	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბარისახო
საფოსტო ინდექსი	1806
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://bit.ly/4ikZBEl
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Barisakho@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 510047

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES725 0000503610 - 08/05/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10.06.2025-11.06.2025

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	დუშეთის მუნიც. სოფელი ბარისახო, შენობა/ნაგებობა 1 შენობა/ნაგებობა 2
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	დუშეთის მუნიც, სოფელი ბარისახო, შენობა/ნაგებობა 1 შენობა/ნაგებობა 2
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	დუშეთის მუნიც. სოფელი ბარისახო, შენობა/ნაგებობა 1 შენობა/ნაგებობა 2

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 10 და 11 ივნისს სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. შეხვედრის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და თავმჯდომარე გაესაუბრენ სკოლის დირექტორს, ბუღალტერს და სკოლის სხვა წარმომადგენლებს. ვიზიტს ესწრებოდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელიც. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა გამოირჩევა არაფორმალური განათლების მრავალფეროვანი აქტივობებით, საწრეო და საკლუბო მუშაობით. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ინტერესების შესაბამისად გაწევრიანდნენ სხვადასხვა კლუბსა თუ წრეებში, ჩაერთონ სკოლის ან სხვადასხვა ორგანიზაციის საგანმანათლებლო პროექტებში. სკოლაში რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან მიღებული გრანტით ფუნქციონირებს "საბავშვო უნივერსიტეტი".

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის	***სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯაარო სკოლამ 2026 წლის 7 ივლისამდე განახორციელოს შენობა 1-ის და შენობა 2-ის მდგრადობის დასკვნის მიღებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნები.***

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	***სასურველია სკოლამ მკაფიოდ დაგეგმოს მონიტორინგისა და შეფასების კონკრეტული მექანიზმი, რათა სასკოლო საზოგადოებისთვის არ აღმოჩნდეს ბუნდოვანი, თუ რა პროცესები და პროცედურებია გათვალისწინებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასებისთვის.***
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	***სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა "სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები 2024-2025 წ". სასურველია, თუ მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილი იქნება, ასევე, სკოლის საგნობრივი კათედრების ფუნქციები. სკოლას აქვს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში მუშაობის პრაქტიკა. სასურველია სკოლამ სტრუქტურულ რგოლებში ასახოს სასწავლო ჯგუფების ფუნქციებიც, რაც მის კულტურას კიდევ მეტად ორიგინალურს გახდის.***
3.1.2.5	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.	***სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კათედრის ფუნქციები თანხვედრაში მოვიდეს სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასთან და დაემატოს კათედრის ფუნქციების დეტალური აღწერა კურიკულუმის განვითარებასთან მიმართებაში.***
3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.	***სასურველია სკოლამ შეიმუშაოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მკაფიო მექანიზმები. ამით სასკოლო საზოგადოება მეტად ინფორმირებული და ჩართული იქნება სკოლის ცხოვრებაში.***

3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.	*2025-2026 სასწავლო წლიდან განხორციელდეს სამედიცინო კაბინეტში დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად, გაკეთდეს შესაბამისი ჟურნალები.*
3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.	*სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებისა და პროცედურების ამსახველ დოკუმენტს. ამით სასკოლო საზოგადოება იქნება მაქსიმალურად ინფორმირებული სკოლაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ.*
3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	*სასურველია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც განახორციელებს სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რასაც სკოლა გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *<u>დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური</u>*	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	*დაწყებითი საფეხურის ექსპერტი: ბუნებისმეტყველებაში საგნობრივი სტანდარტებიდან ამოიღონ სავალდებულო თემები და ყველა სამიზნე ცნებაში დამუშავდეს საკითხები. მათემატიკის კურიკულუმებს, სასურველია დაემატოს მეტი პრაქტიკული დავალება, რაც მოსწავლის ცოდნა-გამოცდილებას შეესაბამება. სასურველია, რომ ყველა საგანში კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის*

		შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. სასურველია, კურიკულუმების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა, მაგ: ყველა ჩარჩო საგნების მოთხოვნების შესაბამისად, ერთნაირ ფორმატში გაკეთდეს,დაინერგოს საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის. ეს უკეთ აღსაქმელს გახდის კურიკულუმებს. *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - როგორც დაწყებით ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე ყველა საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი სავალდებულო თემები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნები, გაიწეროს ყველა საფეხურის ყველა თემაში და საკითხები/საკითხთა კლასტერები დაკონკრეტდეს, რათა მოერგოს მოსწავლის საჭიროებებს, გახდეს მოსწავლეზე ორიენტირებული.* *მათემატიკა - ყველა კლასის კურიკულუმში მიზანშეწონილია დაემატოს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე მიბმული აქტივობები, სადაც მოსწავლე თავად გეგმავს, წარადგენს და აფასებს შედეგს (მაგ: ბიუჯეტის შედგენა, გამოფენის მოწყობა, პროექტის წარდგენა თანაკლასელების წინაშე). გარდა ამისა, საჭიროა ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ეს ხელს შეუწყობს უკეთეს აღქმას და სკოლაში კურიკულუმების თანხვედრას.* *ესთეტიკური აღზრდა - სასურველია კათედრამ გააქტიუროს თანამშრომლობითი კულტურა, მიმართოს გამოცდილების გაზიარების პრაქტიკას და საჭიროების შესაბამისად ასახოს ცვლილებები კურიკულუმში.*
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*დაწყებითი საფეხურის ექსპერტი: სასურველია, კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე*

		დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში. *საზოგადოებრივი მეცნიერებები - მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანდეს თითოეული სავალდებულო თემა და თემის ფარგლებში მუშავდებოდეს საგნის ფარგლებში არსებული ყველა სამიზნე ცნება, აქვე უნდა განისაზღვრის და მიეთითოს ქვეცნებებიც; საკითხები ჩამოშალეთ მკაფიოდ და გასაგებად, ისე რომ გარკვევით ჩანდეს რომელ საკითხთან მიმართებით რა სამიზნე ცნება და ქვეცნება მუშავდება; ძირითადი კონტექსტ მაგალითის ველში თითოეულ თემაში მიუთითეთ მინიმუმ ერთი შემოქმედებითი ხასიათის დავალება; ისტორიისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ჩაამატეთ კომპლექსური დავალების იდეის ველი და ასევე, მაგალითები შედარებისთვის ველი საგნებში: მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია, ასევე შეავსეთ ეს ველები კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით; გამოყენებული რესურსების ველში მკაფიოდ მიუთითეთ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით რომელი რესურსი დამუშავდება.* *მათემატიკა - რეკომენდებულია სამივე საფეხურის კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული. სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება და ა.შ.)*
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*დაწყებითი საფეხურის ექსპერტი: შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები.*

		არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო კათედრამ შექმნას დამატებითი სასწავლო რესურსების ნუსხა კლასების და თემების მიხედვით რომელიც იქნება დამტკიცებული კათედრის სხდომაზე სავალდებულო (სახელმძღვანელოები) რესურსებთან ერთად.* *უცხოური ენები - სასწავლო წლის დასაწყისში უცხოური ენების კათედრამ შექმნას დამატებითი სასწავლო რესურსების ნუსხა კლასების და თემების მიხედვით რომელიც იქნება დამტკიცებული კათედრის ხსდომაზე სავალდებულო (სახელმძღვანელოები) რესურსებთან ერთად. ამითი სკოლაში / კათედრაზე შეიქმნება რესურსების ბანკი რომელიც ყოველწლიურად განახლდება.* *მათემატიკა - სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში ან თანმხლებ დოკუენტებში გაიწეროს კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებული სწავლების - სირთულის დონის, თემის მიწოდების ფორმის ან დროის მართვის მიხედვით.* *ესთეტიკური აღზრდა - სასურველია მასწავლებლებმა სამივე საფეხურის კურიკულუმების შესაბამის ველში სრულად შეიტანონ ის ელექტრონული (ბმულები) თუ ფიზიკური რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილებზე.*
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	*უცხოური ენები - საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ, რითაც კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.*
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და*

	განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	*ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს.* *უცხოური ენა - კათედრამ ცალკე შეიმუშაოს უცხოური ენების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა. შემაჯამებელი დავალებების შექმნის დროს მიუთითონ ესგ-ში მითითებული შედეგები, რომლის შემოწმებას აპირებენ ამ დავალების საშუალებით და შექმნან შეფასების რუბრუკები (თუ შემაჯამებელი დავალება ამოწმებს რამოდენიმე მიმართულებას მაგ. მოსმენას, კითხვას, გრამატიკას და წერას თავისთავად ყველა მიმართულებას (დავალებას) ექნება თავისი შეფასების რუბრიკა.)* *ესთეტიკური აღზრდა - სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში შეიქმნას: განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების,მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თემის ფარგლებში,შედეგების მიღწევის ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. უმჯობესია საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში.*
2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კურიკულუმების შექმნის / ცვლილების დროს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენი აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.*

		კურიკულუმების შექმნის/მოდერნიზების დროს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენი აკადემიურ საათს დაუთმობენ. *უცხოური ენა - კურიკულუმების ფორმას დაუმატონ ერთი სვეტი, რომელშიც ჩაწერენ იმ ცვლილებებს რომლებსაც განახორციელებენ სასწავლო პროცესის დროს, ან ცალკე დოკუმენტად ჩაწერონ ეს ცვლილებები, რომლებიც იქნება გათვალისწინებული მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.* *მათემატიკა - საბაზო საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის თანმიმდევრობა ემთხვეოდეს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემათა თანმიმდევრობას. თუ კლასის საჭიროებიდან გამომდინარე საკითხები გადანაცვლებულია, დამატებულია და ა.შ. ეს ცვლილებები აისახოს კურიკულუმებშიც.* *ესთეტიკური აღზრდა - კათედრამ სამუშაო პროცესის გაანალიზების და შედეგების შეჯამების შემდეგ, პროცესში წარმოშობილი წინააღმდეგობების შესაბამისად, ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.*
2.2.1.3	სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	*სასურველია, რომ შეფასების სქემა თან ერთვოდეს ყველა შემოქმედბითი დავალებას, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება.* *საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს.ასევე სასურველია შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მოაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით.* *უცხოური ენები - კათედრამ ცალკე შეიმუშავოს უცხოური ენების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. ამ რუბრიკების საშუალებით კი*

		მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა. *მათემატიკა - სასურველია შეფასების რუბრიკების არსებობა ყველა თემის შესაბამისად რაც გაწერილია კურიკულემებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ამ რუბრიკებში ქულათა განაწილებას.* *ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მეტი ვალიდურობის, გამჭვირვალების და ობიექტურობისათვის სასურველია დაზუსტდეს - რა შემთხვევაში იწერება ესა თუ ის ქულა. ასევე, სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანდეს ის ცნებები და ქვეცნებები , რომლის შესწავლაც ხდება თემებში.* *უმჯობესია საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში.*
2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	*დაწყებითი საფეხურის ექსპერტი: სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.* *უცხოური ენა - სასურველია კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ცალკე დოკუმენტად ან ცალკე სიით დამატებითი დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რომელიც წარდგენილი იქნება კათედრის პირველ ოქმის დანართად და სკოლის/ ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს ამ რესურსების ვალიდობა /ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა.* *მათემატიკა - სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული მიგნებები და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ:

1. *ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა გეგმა არ იყო ერთწლიანი (წარმოადგინეს 10 თვეზე გაწერილი). სამოქმედო გეგმა არ იყო შედგენილი SWOT ანალიზის საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც გათვალისწინებულია სკოლის SWOT ანალიზი. ანალიზი შედგენილია სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების საფუძველზე. სკოლის სტრატეგიული გეგმა და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი ეფუძნება სკოლის მიერ განხორციელებულ SWOT ანალიზს. სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი ერთწლიანია (დაგეგმილია 12 თვის გათვალისწინებით).*
   სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. *ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ იყო მითითებული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი ფინანსური/მატერიალური/ადამიანური რესურსები. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციით 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, სადაც გაწერილია მიზნები, განსახორციელებელი ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსები, ინდიკატორები და განხორციელების ვადები.*
   სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. *სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-9 მუხლით განსაზღვრული აქვს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესრულებული ფუნქციების მკაფიობას. ამისათვის შემუშავებულია თითოეული პოზიციის სამუშაო აღწერილობა, განსაზღვრულია ის საკვანძო ინფორმაცია, რაც უნდა იყოს წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობაში. ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია*

დოკუმენტი, სადაც იქნებოდა თავმოყრილი და მკაფიოდ გაწერილი თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქციები და მოვალეობები. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით, მოგვიანებით წარმოადგინა ორი დოკუმენტი:

- *„სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები" დამტკიცებული დირექტორის მ/შ 2024 წლის 29 დეკემბრის N2-18 ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია დეტალურად თითოეული სამუშაო პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები.*
- *"სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები 2024-2025 წ". მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილია სკოლის ყველა სტრუქტურული რგოლის ფუნქციები.*

რჩევა: სასურველია, თუ მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილი იქნება, სკოლის საგნობრივი კათედრების ფუნქციები. სკოლას აქვს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში მუშაობის პრაქტიკა. სასურველია სკოლამ სტრუქტურულ რგოლებში ასახოს სასწავლო ჯგუფების ფუნქციებიც, რაც მის კულტურას კიდევ მეტად ორიგინალურს გახდის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. *ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება თითოეული სამუშაო პოზიციისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მაგალითად, არ იყო განსაზღვრული ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, დარაჯის, დამლაგებლის, ცეცხლფარეშის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა "სსიპ-დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები" (დამტკ. სკოლის დირექტორის მ./შ. 2024 წლის 29 დეკემბრის N 2-17 ბრძანებით). დოკუმენტში გასაზღვრულია თითოეული სამუშაო პოზიციისთვის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.*
სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. *ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:*
   - *სკოლის შენობა 1-ის მდგრადობის დასკვნასთან დაკავშირებით, 2025 წლის 11 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება Nე-69 სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასკვნა ბიუროს მხრიდან. შენობა 2-ის (განთავსებულია სკოლის პანსიონატი პირველი სართულის ნაწილში, მეორე და მესამე სართულებზე) მდგრადობასთან დაკავშირებით სკოლას რაიმე მიწერილობა, ან დასკვნა არ წარმოუდგენია. სკოლამ ამასთან დაკავშირებით*

წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი, სადაც გვაცნობა, რომ სკოლას დაწყებული აქვს პროცესი ორივე შენობის მდგრადობის დასკვნის შესახებ და დასკვნას მიღებისთანავე წარმოადგენს. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ შენობა 1-ზე და შენობა 2-ზე სამხარაულის საექსპერტო ბიუროსთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და საბოლოოდ, დასკვნის მიღება განხორციელდება 2026 წლის 7 ივლისამდე.

- *ვიზიტის დროს სკოლის შენობა 2-ის პირველ სართულზე განთავსებული იყო სოფლის ამბულატორია და საბავშვო ბაღი. შენობა 2 სკოლის ეზოშია, ამბულატორიასა და საბავშვო ბაღს არ აქვს იზოლირებული შესასვლელი, რის გამოც უცხო პირთა გადაადგილება ხდებოდა სკოლის ეზოში სასწავლო დროს. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, კერძოდ, განმარტა, რომ სკოლის დამხმარე შენობა 2-ის პირველ სართულზე არსებული 221 კვ.მ. ფართი 5 (ხუთი) წლის ვადით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაეცა მუნიციპალიტეტს სოფლის ამბულატორიისა და საბავშვო ბაღის ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის 791-ე დადგენილების საფუძველზე, 2022 წელს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, რადგანაც ხევსურეთის თემში არ არის სხვა ფართი, სადაც განთავსდება ზემოთ აღნიშნული პუნქტი. თემის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ამბულატორია სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და სამედიცინო პუნქტის მუშაობის შეფერხება პრობლემას შეუქმნის თემს, მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აქედან გამომდინარე, სკოლის სამეურვეო საბჭომ მიიღო ფართის ამბულატორიისათვის დროებით გადაცემის გადაწყვეტილება. სკოლამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, ამბულატორიული მომსახურების გრაფიკი შეიცვლება. ამბულატორიის ექიმი/ექთნები თემის წარმომადგენლებს მოემსახურებიან მხოლოდ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, ასევე ოჯახებში მისვლით (საჭიროების შემთხვევაში).*
  რაც შეეხება საბავშვო ბაღს, იქ ირიცხება მხოლოდ სამი ბენეფიციარი, რომელთა და-ძმა ბარისახოს საჯარო სკოლის მოსწავლეა. სკოლის წარმოდგენილი განმარტებით, ბაღში ბავშვებს სკოლის ეზოს ჭიშკრამდე მოიყვანს მშობელი/მეურვე/კანონიერი წარმომადგენელი, (ისინი ამავე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები არიან), სადაც დახვდებათ სკოლის დარაჯი (მუდმივად აკონტროლებს სკოლის ეზოს დღის საათებშიც) და საბავშვო ბაღის პერსონალი, ამგვარად დარეგულირდება უცხო პირთა მიმოსვლა სკოლის ეზოში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებითა და სოფელ ბარისახოს თემის საჭიროებების გათვალისწინებით (სკოლა მაღალმთიან რეგიონშია), ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. *ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი საშუალო საფეხურზე X-XI კლასების ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნების კურიკულუმი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა საშუალო საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა - X-XI კლასების ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნების კურიკულუმი, რომელიც უნდა ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს, მის შედეგებს, მასში მოცემულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს).* ***ყოველივე ამის გათვალისწინებით, საშუალო საფეხურზე ინდიკატორები 2.1.2.1 და 2.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.***

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.**

   სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა და დამტკიცდა 2024 წლის 10 სექტემბრის პედსაბჭოს N1 სხდომაზე, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. სკოლის მისიით მთავარი ორიენტირი კეთდება მოსწავლეებში ეროვნულ, ლიბერალურ და დემოკრატიული ღირებულებების, სახელმწიფოებრივი ცნობიერების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებასა და პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერებაზე. სკოლის მიზანია თავისუფალი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითად და ანალიტიკურად მოაზროვნე, კონკურენტუნარიანი, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული, მოტივირებული, წიგნიერი პიროვნების აღზრდა. მისიით სკოლა ყურადღებას ამახვილებს პანსიონურ მომსახურებაზე, რათა გაზარდოს განათლების ხელმისაწვდომობა დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსწავლეებისათვის და სთავაზობს ფორმალური და არაფორმალური განათლების მაღალ ხარისხს.

   სკოლის ხედვით ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე, სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხზე, რათა ხელი შეუწყოს მოაზროვნე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მატარებელი აქტიური თაობების აღზრდას.

   სკოლას ასევე აქვს შემუშავებული ღირებულებები. მათ შორის არის „კონკურენტუნარიანი, პატრიოტი მოქალაქეების აღზრდა“, „კრიტიკული და შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესება“, „პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის უნარების განვითარება“. ღირებულებების არსებული დეფინიცია თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ნაწილობრივ წარმოადგენს მისაღწევ მიზანებს, რაც უნდა აისახოს სკოლის მისია-ხედვაში და სტრატეგიულ მიმართულებებში.

   რჩევა: ღირებულებები არის ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინებითაც მოქმედებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. ღირებულებები წარმოადგენს ორგანიზაციული კულტურის ნაწილს. ის ინფორმაციას აწვდის თანამშრომლებს სკოლაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურის და იმ პრინციპების შესახებ, რომელთა დაცვითაც უნდა იმუშაონ მათ ამ ორგანიზაციაში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სასურველია სასკოლო საზოგადოება შეთანხმდეს სწორად ფორმულირებულ ისეთ ღირებულებაზე, რაც შემდგომ გათვალისწინებული იქნება

სკოლის მართვის პოლიტიკასა და სასწავლო პროცესის განხორციელებაში. სკოლის მართვის პოლიტიკაში წარმოდგენილია ღირებულებები. სასურველია, ეს დოკუმენტი და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ღირებულებები მოვიდეს შესაბამისობაში.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციით განახლებული შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წლები), სადაც გათვალისწინებულია ექსპერტთა რჩევა და სკოლის ღირებულებები მოვიდა შესაბამისობაში სკოლის მართვის პოლიტიკასთან, გამართულია ღირებულებების შინაარსობრივი მხარე.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

1.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**

სკოლა მისიით აცხადებს, რომ შექმნის ინკლუზიურ და უსაფრთხო გარემო-პირობებს, სადაც ყველა მოსწავლეს ექნება შესაძლებლობების ფარგლებში მიიღოს აკადემიური განათლება. სკოლა ორიენტირებულია უსაფრთხო ფსიქო-ემოციურ და ფიზიკური გარემოს ფორმირებაზე. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმეგებლი პირი, რომლიც უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, ვიდეოკამერებით კონტროლდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. მასწავლებლებთან შეთანხმებით შედგენილია მორიგეობის განრიგი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილება. სკოლა აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებით, ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლის სახურავის სხვენი დამუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები.

სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, პროექტები, არაფორმალური განათლების საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობები, მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობები, საკლუბო მუშაობა არის მტკიცებულება იმისა, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

1.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.**

სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლის მისიისა და ხედვის შექმნაში ჩართული იყვნენ - დირექტორი, პედსაბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობლები, დაინტერესებული პირები, თემის წარმომადგენლები. დირექტორის მ/შ-ს 2023 წლის 10 სექტემბრის N2-12ბ ბრძანებით განისაზღვრა სსიპ დუშეთის

მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება 6 წევრისგან (დირექტორი და 5 მასწავლებელი/კათედრების წარმომადგენლები) ჩატარდა გამოკითხვები. მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად განახლდა სკოლის მისია და ხედვა. სამუშაო ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები, წარადგინა სასკოლო საზოგადოების წევრებთან და თემთან, წარიმართა ჯგუფის მიერ მიღებული უკუკავშირის განხილვა და შენიშვნების გათვალისწინება. საბოლოოდ, ჯგუფმა მისიას, ხედვასა და ღირებულებებს გაუკეთა საბოლოო ფორმულირება, რაც დამტკიცდა პედსაბჭოზე და დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე გამოქვეყნდა სკოლის ვებგვერდზე. მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდა სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზეც;

1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარდა სკოლაში დაგეგმილ შეხვედრებზე: კათედრის სხდომები, პედსაბჭოს სხდომა, მშობელთა კრებები, დამრიგებლის საათი; სასწავლო წლის დასაწყისში განხორციელდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან პედსაბჭოზე, სადამრიგებლო საათზე. დაგეგმილია მისი აქტიური გაზიარება მშობელთა კრებებზეც. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ახალი 2025-2026 სასწავლო წლიდან დაგეგმილია კიდევ გადაიხედოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის სტარატეგიული განვითარების მეთოდოლოგიასთან. უფრო აქტიურად გამხორციელდება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან: მშობელთა კრებებზე, კლასის საათზე და სასკოლო შეკრებებზე.

1.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. კერძოდ, სკოლის ცენტრალურ ფოიეში საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის მისია და ხედვა. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი პირველი აქტივობა სწორედ შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, მისიისა და ხედვის გაცნობას ემსახურება. სკოლის მისია და ხედვა განთავსებულია სკოლის პორტალზე: http://bit.ly/4ikZBEl , ასევე გასაჯაროვდა სკოლის სოციალურ გვერდზეც.

1.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდებაა - „სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა“. სკოლის სახელწოდება, რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის და 2017 წლის 16 მარტის N194 „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებების შესაბამისად, რაც სრულად შეესაბამება სკოლის სტატუსს.

1.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის პედსაბჭოს ოქმი N1-10/09/2024;
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030 წლები);
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- დირექტორის მ/შ 2023 წლის 10 სექტემბრის N2-12ბ ბრძანება სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით;
- სასკოლო სკვლევა- „მოსწავლის სასკოლო აქტივობების შესრულების პროცესში მშობლის ჩართულობის გაზრდის მეთოდები და მათი გავლენა მოსწავლის აკადემიურ შედეგებზე“;
- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის ვებ-გვერდი: http://bit.ly/4ikZBEl

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბარისახოს საჯარო სკოლას წარმოდგენილი დირექტორის მ/შ-ის მიერ 2024 წლის 22 მარტის N2-2ა ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რაც ადგენს სკოლის მმართველობითი პროცესების - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცებისპროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესი;
- სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეები, გაზიარების მექანიზმები, სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემადგენელი ეტაპები, პროცესები და

პროცედურები. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია, რომ სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს, რაც გულისხმობს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას.

მეთოდოლოგიაში აღწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება.

1.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლამ 2023 წლის სექტემბერში შეიმუშავა და დაამტკიცა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030 წლები), მისი ძირითადი სტრატეგიულ მიმართულებებს:

- სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.
- პოზიტიური და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო;
- კვალიფიციური კადრები;
- ტექნოლოგიები, სწავლების მეთოდები და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა;

სკოლის სტრატეგიული მიზნებია:

1. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.
2. სკოლის მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
3. სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მუდმივი განვითარება;
4. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ნორმების დაცვა;
5. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება;
6. საწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა;
7. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.

გაწერილია თითოეული მიმართულების შესაბამისი ამოცანები, საკვანძო აქტივობები და პასუხისმგებელი პირები 2023-2024 სასწავლო წლიდან 2029-2030 სასწავლო წლის ჩათვლით, მითითებულია პერიოდულობა.
სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.**

სკოლის ადმინსტრაციასთან და დირექტორის მ/შ-თან გასაუბრებით იკვეთება, რომ თვითშეფასება ხდება დირექტორის, კათედრების ხელმძღვანელების, კლუბის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების გათვალისწინებით, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა აკადემიური შედეგები.
სკოლის მიერ წარმოადგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ ჩანს თვითშეფასების შედეგად გაკეთებული მიგნებები, თუ როგორ განახორციელა სკოლამ მონაცემთა ანალიზი, რისი გათვალისწინებითაც მოხდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიზნებისა და ამოცანების იდენტიფიცირება და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა გეგმა არ იყო ერთწლიანი (წარმოადგინეს 10 თვეზე გაწერილი). სამოქმედო გეგმა არ იყო შედგენილი SWOT ანალიზის საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც გათვალისწინებულია სკოლის SWOT ანალიზი. ანალიზი შედგენილია სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების საფუძველზე. სკოლის სტრატეგიული გეგმა და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი ეფუძნება სკოლის მიერ განხორციელებულ SWOT ანალიზს. სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი ერთწლიანია (დაგეგმილია 12 თვის გათვალისწინებით).
სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია მისაღწევი მიზნები, შესაბამისი აქტივობები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია 10 მისაღწევი მიზანი, ზოგიერთი მათგანი, მაგალითად - „სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება“ არ იკვეთება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარებაში.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ იყო მითითებული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი ფინანსური/მატერიალური/ადამიანური რესურსები. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციით 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, სადაც გაწერილია მიზნები, განსახორციელებელი ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსები, ინდიკატორები და განხორციელების ვადები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030 წლები);
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა (2024-2025 წლები);
- დირექტორის მ/შ 2023 წლის 10 სექტემბრის N2-12ბ ბრძანება სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. თუმცა წარმოდგენილია მონიტორინგისა და შეფასების ორი ალტერნატიული გზა.

რჩევა: სასურველია სკოლამ მკაფიოდ დაგეგმოს მონიტორინგისა და შეფასების კონკრეტული მექანიზმი, რათა სასკოლო საზოგადოებისთვის არ აღმოჩნდეს ბუნდოვანი, თუ რა პროცესები და პროცედურებია გათვალისწინებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

1.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.**

სკოლამ წარმოადგინა ორი მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასკოლო კვლევა - „მოსწავლის სასკოლო აქტივობების შესრულების პროცესში მშობლის ჩართულობის გაზრდის მეთოდები და მათი გავლენა მოსწავლის აკადემიურ შედეგებზე“. ასევე გათვალისწინებულია მასწავლებელთა, კათედრის, კლუბების ხელმძღვანელთა და დირექტორის წლიური ანგარიშები, რითაც ფასდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების ხარისხი.

1.2.2.2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით:

- სკოლის ვებ-გვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან;
- ბეჭდვითი მასალები.

1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე,შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სკვლევა- „მოსწავლის სასკოლო აქტივობების შესრულების პროცესში მშობლის ჩართულობის გაზრდის მეთოდები და მათი გავლენა მოსწავლის აკადემიურ შედეგებზე“;
- კათედრის ხელმძღვანელთა ანგარიშები;

- **მასწავლებელთა ანგარიშები;**
- **დირექტორის ანგარიში.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**

   სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, დირექცია (დირექტორის მ/შ, ბუღალტერი), ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, ექთანი, ცეცხლფარეში, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი.

   სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

   სკოლაში მიმდინარე ეტაპზე არ ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რადგანაც სკოლიდან წასვლის გამო ხელშეკრულება შეუწყდა ორ მასწავლებელს, ხოლო სკოლიდან გადავიდნენ ის მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც იყვნენ სამეურვეო საბჭოს წევრები. სამეურვეო საბჭოს შეუწყდა უფლებამოსილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 27 ოქტომბრის N176/ნ ბრძანების 38-ე მუხლის „ბ“ და“გ“ პუნქტების შესაბამისად და გადავიდა სკოლის

პედსაბჭოზე. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით, მიმდინარე წლის ივლისში დაგეგმილია სამეურვეო საბჭოს არჩევნები, რაზეც მოხდება წევრების არჩევა და სამეურვეო საბჭოც იქნება სკოლის მნიშვნელოვანი მმართველობითი რგოლი.

სკოლას აქვს 5 კათედრა, სადაც საგნობრივი პროგრამების მიხედვით გაერთიანებულია 20 მასწავლებელი.
პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტის, დირექტორის უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის წესდებაში, რითაც ხელმძღვანელობს სკოლა. კათედრების, კათედრის ხელმძღვანელის, კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. დირექტორის და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, მასწავლებლების უფლება-მოვალეობები დაკონკრეტებულია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.
სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-9 მუხლით განსაზღვრული აქვს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესრულებული ფუნქციების მკაფიოობას. ამისათვის შემუშავებულია თითოეული პოზიციის სამუშაო აღწერილობა, განსაზღვრულია ის საკვანძო ინფორმაცია, რაც უნდა იყოს წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობაში. ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია დოკუმენტი, სადაც იქნებოდა თავმოყრილი და მკაფიოდ გაწერილი თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქციები და მოვალეობები. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით, მოგვიანებით წარმოადგინა ორი დოკუმენტი:

- *„სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები" დამტკიცებული დირექტორის მ/შ 2024 წლის 29 დეკემბრის N2-18 ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია დეტალურად თითოეული სამუშაო პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები.*
- *"სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები 2024-2025 წ". მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილია სკოლის ყველა სტრუქტურული რგოლის ფუნქციები.*

  რჩევა: სასურველია, თუ მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილი იქნება, ასევე, სკოლის საგნობრივი კათედრების ფუნქციები. სკოლას აქვს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში მუშაობის პრაქტიკა. სასურველია სკოლამ სტრუქტურულ რგოლებში ასახოს სასწავლო ჯგუფების ფუნქციებიც, რაც მის კულტურას კიდევ მეტად ორიგინალურს გახდის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლის სტრატეგიულ გეგმაში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილ თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს დაკისრებული აქვს მისი ფუნქციის შესაბამისი აქტივობის განხორციელება/ზედამხედველობა/კონტროლი, არ ხდება ფუნქციების აღრევა და გადაფარვა, ყველა სტრუქტურულ ერთეულს მისთვის განსაზღვრული ფუნქცია აკისრია.

სკოლის მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მასწავლებლები. შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი (ხარისხის ჯგუფი), რომელიც აფასებს მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებებსა და საქმიანობის პროცესს. სკოლაში შექმნილია 5 კათედრა, სადაც საგნობრივად არიან გაერთიანებული მასწავლებლები. კათედრებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაში.

სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების და სხვა სტრუქტურული რგოლების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის სამუშაოს. ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობა განაწილებულია ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სკოლის გამართულ მუშაობას. ექსპერტთა ვიზიტის დროს იკვეთებოდა სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულება.

3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრუქტურა - გრაფიკული დიაგრამა;
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030 წლები);
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა (2024-2025 წლები);
- დირექტორის მ/შ 2023 წლის 10 სექტემბრის N2-12ბ ბრძანება სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით;

- სკოლის საშტატო ნუსხა;
- ხარისხის მართვის ჯგუფის ბრძანება და დებულება;
- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- პედსაბჭოს, კათედრების, სასწავლო ჯგუფების, ხარისხის ჯგუფის საქმიანობის ამსახველი ოქმები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის წესდება;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის ყოველი თანამშრომლის საქმიანობა რეგულირდება ხელშეკრულებით, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები და ერთი ეგზემპლარი გადაცემული აქვს დასაქმებულს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლა ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის მეორე სართულის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას.
   3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.**

   სკოლაში ხორციელდება საჭიროებაზე დაფუძნებული პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება საავადმყოფო ბიულეტენზე ყოფნისას, დეკრეტული შვებულების შემთხვევაში ჩასანაცვლებელი კადრების არჩევა, რითაც სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. სკოლაში შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“,

რომელიც დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის შინაგანაწესი არაგულირებს დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოს სკოლამ თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესების არ შეფერხდეს. სკოლა ხელმძღვანელობს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მ/შ ბრძანებით. წარმოდგენილია სკოლის მართვის მიზნები, ამოცანები და პრინციპები, ღირებულებები, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, სტრატეგია, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, კადრების მოზიდვა-შერჩევის რეგულაციები, მასწავლებლისა და სპეც. მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შერჩევის საკონკურსო პირობები, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის რეგულაციები, მამოტივირებელი ფაქტორები, შესრულებული სამუშაოს შეფასება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის რეგულაციები და სხვა.

3.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

პერსონალის მართვის პოლიტიკაში მოცემული თანამშრომელთა შერჩევის რეგულაციები და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ და სკოლის კონკურსის გამოცხადების წესის შესაბამისად. სკოლა ვალდებულია შიდა ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში, ინფორმაცია განათავსოს სკოლის განცხადებების ადგილას, ხოლო გარე ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში ინფორმაცია განათავსოს ვებ-გვერდზე: www.pedagogi.ge, www.teacherjobs.ge. კონკურსანტის შერჩევა ხდება რამდენიმე ეტაპად.

სკოლას კონკურსის შედეგად შეემატა რამოდენიმე ახალი მასწავლებელი და ექთანი შესაბამისი რეგულეციების სრული დაცვით, გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების საფუძველზე. რაც შეეხება არაპედაგოგი თანამშრომლების შერჩევას, ის სრულდება ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე.

მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირად საქმეებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილია ისეთი სახის დოკუმენტაცია, როგორიცაა:

- ✓ ნასამართლეობის ცნობა;
- ✓ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;
- ✓ უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

თანამშრომელთა პორტფოლიოების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის თითოეული პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობას. სკოლას ჰყავს 20 მასწავლებელი, სკოლაში მუშაობს 3 წამყვანი, 16 უფროსი, 1 მოწვეული მასწავლებელი. სკოლის პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. სკოლას საშტატო ნუსხით ჰყავს დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, ცეცხლფარეში, 20 მასწავლებელი.

მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირად საქმეებში ჩანს, რომ მათ გავლილი აქვთ სახვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების ტრენინგები და კურსები.

თანამშრომელთა პორტფოლიოების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობას. კვალიფიკაციები განსაზღვრულია სკოლის მიერ თანამშრომელთა მიღებისას გამოცხადებული კონკურსების პირობებში.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება თითოეული სამუშაო პოზიციისათვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მაგალითად, არ იყო განსაზღვრული ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, დარაჯის, დამლაგებლის, ცეცხლფარეშის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა "სსიპ-დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები" (დამტკ. სკოლის დირექტორის მ./შ. 2024 წლის 29 დეკემბრის N 2-17 ბრძანებით). დოკუმენტში გასაზღვრულია თითოეული სამუშაო პოზიციისთვის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სკოლის მართვის პოლიტიკა მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობითი და დემოკრატიული კულტურის ფორმირებასა და განვითარებაზე. სკოლა იყენებს გუნდური მუშობის პრინციპებს, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. სკოლის დისციპლინური კომიტეტი შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და საშ. საფეხურის მოსწავლეებისაგან.

სკოლაში ფინქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი, მასწავლებლები, სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მოსწ. თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს მასწავლებლებთან. სკოლაში ფუნქციონირებს მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი.

მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმილია და აქტიურად ხორციელდება სასკოლო საგანმანათლებლო პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და აქტივობები. მასწავლებლები თანამშრომლობენ საკლუბო მუშაობის ფარგლებშიც.

სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა. სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. კათედრების ფუნქციები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

რჩევა: სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კათედრის ფუნქციები თანხვედრაში მოვიდეს სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასთან და დაემატოს კათედრის ფუნქციების დეტალური აღწერა კურიკულუმის განვითარებასთან მიმართებაში.

3.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ-დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ეფექტიანი მექანიზმი. გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ხდება კათედრებზე, პედსაბჭოზე, სასწავლო ჯგუფების სამუშაო შეხვედრებზე, სასკოლო, შიდა და საერთაშორისო კონფერენციებზე. შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა ჯგუფი, რომელიც ჩართული იყო USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებდნენ კოლეგებს.

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლას ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში წარმოდგენილი აქვს მასწავლებლის საქმიანობის შეფასების შიდა მექანიზმები. სკოლა ამ შეფასების საფუძველზე მოახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას. სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირულის, ან/და მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და საგანმანათლებლო პროცესში

განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ წლიური შედეგების შეჯამებისას პედ. საბჭოზე მოხდება მადლობის გადახდა შესაბამისი ბრძანებითა და სკოლის სოციალურ გვერდზე გაზიარებით. მაგ: სკოლის ტექნიკური პერსონალი, დამლაგებლები, სასკოლო გარემოსა და ჰიგიენური ნორმების ხარისხიანად დაცვის გამო, წახალისდნენ ერთჯერადი ფულადი პრემიით.

3.1.2.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის პედსაბჭოს, კათედრების ოქმები, სასწავლო ჯგუფის, ხარისხის ჯგუფის ოქმები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ხარისხის მართვის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერთა ჯგუფის დამტკიცების ბრძანება;
- ხარისხის მართვის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- მასწავლებელთა/თანამშრომელთა პირადი საქმეები/პორტფოლიოები;
- ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ;
- მასწავლებლებისა და ექთნის პოზიციებზე კონკურსით მიღების ამსახველი დოკუმენტები (ბრძენებები, ოქმები);
- დირექტორის, მასწავლებლების უკუკავშირები;
- მასწავლებლის რეფლექსიები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

   სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, რომლის უმნიშვნელოვანესი აქტივობაა მასწავლებელთა და თანამშრომელთა საჭიროებების დადგენა.

   სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია და დამტკიცებულია ამ ჯგუფის დებულება. დებულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მასწავლებლის მხარდაჭერისა და შეფასების მექანიზმები. ჯგუფის მიზანია:

   ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება;

   ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა;

   გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;

   დ)მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა;

   ე) მასწავლებელთა თვითშეფასების გათვალისწინება.

აღნიშნული ჯგუფი ესწრება პედაგოგებს გაკვეთილზე და აძლევს განმავითარებელ შეფასებას. შეფასების საფუძველზე ხდება მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა.
ამის გარდა სკოლას აქვს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში თანამშრომლობის პრაქტიკა. მასწავლებლები ინტერვიუირებისა და რეფლექსიების საფუძველზე ასახელებენ საკუთარ საჭიროებებს. დირექტორთან გასაუბრებით, მასწავლებლის პრაქტიკულ საქმიანობაზე დაკვირვება ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულება მასწავლებლის საჭიროებების დადგენაში.

3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.**

მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები.
მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის:

- ✓ თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება;
- ✓ სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება;
- ✓ მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ.

მასწავლებელთა კათედრაზე საქმიანობაც ითვალისწინებს მათ საჭიროებების დადგენას და ამის გათვალისწინებით მათთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას. ახალი 2025-2026 სასწავლო წლიდან ხარისხის ჯგუფის უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმილია კათედრებზე განხორციელდეს მასწავლებელთა სამოქმედო გეგმების შემუშავება.
3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**.

პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული პროფესიული განვითარების საშუალებებსაც. სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელიც ამავე დროს პასუხსიმგებელია სკოლის თანამშრომლების ინფორმირებაზე, უმოკლეს ვადებში უზიარებს ინფორმაციას მასწავლებლებსა და თანამშრომლებს სხვადასხვა გარე საგანმანათლებლო ორგანიზაციების, მპგეს-ის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებზე, სამუშაო შეხვედრებზე, კონფერენციებსა და დისტანციურ ჩართვებზე, დახმარებას უწევს რეგისტრაციაში. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომლებს აქვთ პროფესიული განვითარების მაღალი მოტივაცია და აქტიურად ერთვებიან შემოთავაზებულ აქტივობებში. სკოლის სამმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი, გახდა წამყვანი მასწავლებელი, ხოლო ორმა მასწავლებელმა წარმატებით ჩააბარა წამყვანი/მენტორი

მასწავლებლისთვის განკუთვნილი გამოცდა. მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია სხვადასხვა სერტიფიკატები, სიგელები ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
სკოლა ასევე უწყობს ხელს მასწავლებლების გარდა პროფესიულ განვითარებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სკოლის ბუღალტერი და საქმისმწარმოებელი. ბუღალტერთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ბოლო პერიოდში სკოლის დირექტორის მ/შ-თან ერთად დაესწრო ტრენინგებს სკოლის საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.
3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში, მას სამუშაო გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება დირექტორის მ/შ და კათედრა. თანამშრომლები მიიღებიან გამოსაცდელი ვადით. სკოლის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია ადაპტაციის ეტაპები და პროცედურები. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, სკოლაში შექმნილია საჭირო სამუშაო გარემო მასწავლებლებისთვის, ადმინისტრაციის და სხვა პერსონალისთვის. დირექცია დეტალურად უხსნის მასწავლებელს/დასაქმებულს ფუნქცია-მოვალეობებს აღნიშნულ პოზიციასთან მიმართებით, აწვდის ინფორმაციას ანაზღაურების და სამომავლო პროფესიული პერსპექტივების შესახებ, უზრუნველყოფს სამუშაო სივრცით და საჭირო ინვენტარით, აცნობს სკოლის მისიას, ხედვას, შინაგანაწესს და სკოლის მართვის პოლიტიკას.
3.2.1.4 **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მართვის პოლიტიკა ამ მიმართულებითაც განსაზღვრავს გარკვეულ პროცედურებს. ინიციატივები იკვეთება ძირითადად პერსონალის პროფესიული საჭიროებების მიმართულებით, ან ზეპირსიტყვიერად მასწავლებლებისა და პერსონალის მხრიდან. დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარეობს არაფორმალური განათლების, კლუბური მუშაობის მრავალფეროვანი აქტივობები, რაც განაპირობა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, სწორედ მასწავლებელთა ინიციატივების წახალისებამ. ამ აქტივობების ფარგლებში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ როგორც სკოლის შიგნით, ინტეგრირებული აქტივობების ფარგლებში, ისე სკოლათაშორის, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასაც.
3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის პედსაბჭოს, კათედრების ოქმები, სასწავლო ჯგუფის, ხარისხის ჯგუფის ოქმები;
- დირექტორის, მასწავლებლების უკუკავშირები;
- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- ხარისხის მართვის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერთა ჯგუფის დებულება;
- მასწავლებელთა/თანამშრომელთა პირადი საქმეები/პორტფოლიოები;
- სკოლაში მიმდინარე პროექტების, კლუბური მუშაობის ამსახველი მასალები - ფოტოები, ვიდეორგოლები, პროექტის გეგმები, რეფლექსიები დაა ანგარიშები;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100085231037426

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.**

   სკოლას წარმოდენილი აქვს სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 17 სექტემბრის N2-14ა ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვაზე პასუხსიმგებელი პირი. სკოლის მმართველობითი პროცესები, მაგალითად: სტრატეგიული დაგეგმვა და წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად; ადამიანური რესურსების მართვა, კარიერული განვითარება, ფინანსური რესურსების მართვა და სხვა დამხმარე პროცესები იმართება ასევე განსაზღვრული მექანიზმით. განსაზღვრულია სკოლის დამხმარე პროცესებიც.
   ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან:
   ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
   ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
   გ) შემოწმების განხორციელება;
   დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;
   ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.
   თითეული მიმართულება მოიცავს დემინგის ციკლის ოთხივე ეტაპს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. გაწერილია თითოეული ეტაპის შესაბამისი პროცედურები. სკოლა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ცდილობს იკვლიოს პროცესები მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა გამოკითხვებით, გაკვეთილების შეფასების ანალიზით, განხორციელებული პროექტების შეჯამებით, სასწავლო წლის ბოლოს წარდენილი ანგარიშებით.

   3.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.**

   სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში განსაზღვრული და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; ასევე ძირითად მმართველობით მიმართულებებში წარმოდგენილია სკოლის მეთოდოლოგიები, სადაც დეტალურად არის აღწერილი

დემინგის ციკლის თითოეული ეტაპის შესაბამისი პროცედურები, კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, ჩართული მხარეები.

3.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

სკოლას წარმოდგენილი აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური და გამოცდილი სისტემა. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია, როგორც სხვადასხვა სახის დისციპლინური გადაცდომები, ასევე ამ გადაცდომების შესაბამისი სახდელები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალება აქვს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სკოლის დირექტორთან, დისციპლინურ კომიტეტთან. სასკოლო საზოგადოების ყველა მხარეს შეუძლია ისარგებლოს გასაჩივრების და აპელაციის უფლებით. სკოლის დისციპლინური კომიტეტი დაკომპელქტებულია თანაბარი მონაწილების უფლების მქონე მოსწავლეებით, მასწავლებლებითა და მშობლებით. სკოლის ნებისმიერი თანამშრომელი, მოსწავლე და მშობელი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის პრინციპს. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი გატარდება რეგისტრაციაში და მათზე რეაგირება განხორციელდება“ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ II თავის მე-12 მუხლით დადგენილი წესით. ბავშვთა უფლებების დაცვა რეგულირდება ასევე „ბავშვთა უფლებათა კოდექსის“ შესაბამისად.

3.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მათი უფლებების დაცვის შესახებ ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში, მშობელთა კრებებზე, ხოლო მასწავლებლებს - შინაგანაწესის გაცნობისას. შინაგანაწესით განისაზღვრება სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენებისა და დასვენების დრო, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავი ჩამონათვალი, წახალისებისა და დისციპლინური სახდელების გამოყენების პრინციპები, დასაქმებულისა და მოსწავლის მატერიალური პასუხსიმგებლობა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. მშობელსა და სკოლას შორის არსებობს შეთანხმებები, რომლის საფუძველზეც მშობელი/მეურვე გამოთქვამს თანხმობას მაგალითად, ექსკურსიაზე წასვლასთან დაკავშირებით, საჭიროებისამებრ, უსაფრთხოების ნორმების დაცვით

გამოქვეყნებული იყოს მოსწავლის პირადი მონაცემები და ფოტოები. მოსწავლის და მშობლის უფლებები და მოვალეობები წარმოდგენილია მშობელთან დასადებ ხელშეკრულებები.

3.3.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ხელშეკრულებები და შეთანხმება მშობელთან.
- მშობელთა კრების ოქმები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.**
   ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სკოლა აქვეყნებს სკოლის ცენტრალურ ფოიეში, განცხადებების დაფაზე და ასევე მის გვერდზე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები (მაგალითად, მრჩეველთა საბჭოს, დისც. კომიტეტის სხდომაზე მოწვევა). სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების კიდევ ერთი საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://onlineschool.emis.ge/, სკოლის ელ-ფოსტა; barisakho@mes.gov.ge. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სკოლის სოციალური გვერდით, სკოლის პორტალით.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მკაფიო მექანიზმები. ამით სასკოლო საზოგადოება მეტად ინფორმირებული და ჩართული იქნება სკოლის ცხოვრებაში.

3.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სკოლაში სამეურვეო საბჭოს შეუჩერდა უფლებამოსილება, რადგან არჩეულ წევრთა ნახევარზე მეტს შეუწყდა უფლებამოსილება ვადის ამოწურვამდე. საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მე-40 მუხლის „გ“ პუნქტის „გ.ა“,“გ.ბ.“ და „გ.გ.“ ქვეპუნქტების შესაბამისად. ამიტომ სამეურვეო საბჭოს არჩევამდე პედაგოგიური საბჭო ითავსებს მის ფუნქციას. ასევე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა). გარდა კონკრეტულად განსაზღვრული დღეებისა, მშობელი შეზღუდული არ არის ნებისმიერ დროს შეხვდეს დირექციას, მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს მათთან შეთანხმებით.

გათვალისწინებულია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა მოსწავლეთა თვითმმართველობაში, მოსწავლეთა მრავალფეროვან კლუბებში.

3.3.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ოქმი;
- პედ. საბჭოს ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- დამრიგებლის პორტფოლიო;

- **სკოლის პორტალი:** http://bit.ly/4ikZBEl
- **სკოლის სოც. გვერდი:** https://www.facebook.com/profile.php?id=100085231037426

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში).**
   სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურები და მექანიზმები განისაზღვრება და რეგულირდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის ეზო შემოღობილია, მოწესრიგებულია სკოლის სრული

ტერიტორია, სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებით, სისტემით, ცეცხლმაქრებით და სახანძრო ინვენტარით, სკოლის ორივე შენობის სხვენი დამუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში განთავსებული იყო შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმები. განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ტერიტორია კონტროლდება მუდმივ რეჟიმში 8 შიდა და 6 გარე ვიდეოკამერის დახმარებით.

სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის დასკვნა ორივე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლამ MES2250000589684-28/05/2025 წერილით მიმართა შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით.

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 25 მარტის N2/10 ბრძანებით დამტკიცებული შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან MIA82500936882 - 28/03/2025 წერილით შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას, ასევე, არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ).

ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- *სკოლის შენობა 1-ის მდგრადობის დასკვნასთან დაკავშირებით, 2025 წლის 11 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება №-69 სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასკვნა ბიუროს მხრიდან. შენობა 2-ის (განთავსებულია სკოლის პანსიონატი პირველი სართულის ნაწილში, მეორე და მესამე სართულებზე) მდგრადობასთან დაკავშირებით სკოლას რაიმე მიწერილობა, ან დასკვნა არ წარმოუდგენია. სკოლამ ამასთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი, სადაც გვაცნობა, რომ სკოლას დაწყებული აქვს პროცესი ორივე შენობის მდგრადობის დასკვნის შესახებ და დასკვნას მიღებისთანავე წარმოადგენს. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ შენობა 1-ზე და შენობა 2-ზე სამხარაულის საექსპერტო ბიუროსთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და საბოლოოდ, დასკვნის მიღება განხორციელდება 2026 წლის 7 ივლისამდე.*
- *ვიზიტის დროს სკოლის შენობა 2-ის პირველ სართულზე განთავსებული იყო სოფლის ამბულატორია და საბავშვო ბაღი. შენობა 2 სკოლის ეზოშია, ამბულატორიასა და საბავშვო ბაღს არ აქვს იზოლირებული შესასვლელი, რის გამოც უცხო პირთა გადაადგილება ხდება სკოლის ეზოში სასწავლო დროს. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, კერძოდ, განმარტა, რომ სკოლის დამხმარე შენობა 2-ის პირველ სართულზე არსებული 221 კვ.მ. ფართი 5 (ხუთი) წლის ვადით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაეცა მუნიციპალიტეტს სოფლის ამბულატორიისა და საბავშვო ბაღის ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის 791-ე დადგენილების საფუძველზე, 2022 წელს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, რადგანაც ხევსურეთის თემში არ არის სხვა ფართი, სადაც განთავსდება ზემოთ აღნიშნული პუნქტი. თემის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ამბულატორია სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და*

სამედიცინო პუნქტის მუშაობის შეფერხება პრობლემას შეუქმნის თემს, მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აქედან გამომდინარე, სკოლის სამეურვეო საბჭომ მიიღო ფართის ამბულატორიისათვის დროებით გადაცემის გადაწყვეტილება. სკოლამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, ამბულატორიული მომსახურების გრაფიკი შეიცვლება. ამბულატორიის ექიმი/ექთნები თემის წარმომადგენლებს მოემსახურებიან მხოლოდ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, ასევე ოჯახებში მისვლით (საჭიროების შემთხვევაში). ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ამბულატორიის პერსონალი სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებსაც ემსახურება საჭიროების შემთხვევაში.

რაც შეეხება საბავშვო ბაღს, იქ ირიცხება მხოლოდ სამი ბენეფიციარი, რომელთა და-ძმა ბარისახოს საჯარო სკოლის მოსწავლეა. ბაღში ბავშვებს სკოლის ეზოს ჭიშკრამდე მოიყვანს მშობელი/მეურვე/კანონიერი წარმომადგენელი, (ისინი ამავე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები არიან), სადაც დახვდებათ სკოლის დარაჯი (მუდმივად აკონტროლებს სკოლის ეზოს დღის საათებშიც) და საბავშვო ბაღის პერსონალი, ამგვარად დარეგულირდება უცხო პირთა მიმოსვლა სკოლის ეზოში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და სოფელ ბარისახოს თემის საჭიროებების გათვალისწინებით (სკოლა მაღალმთიან რეგიონშია), ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.**

სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად.

სკოლაში 34 მოსწავლეა. სკოლას ემსახურება ექთანი, რომელიც შეირჩა კონკურსის პირობების დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა ექთანთან გასაუბრება. სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ დაგეგმილია 2025-2026 სასწავლო წლისთვის სამედიცინო კაბინეტისათვის ყველა საჭირო მედიკამენტების შეძენა. სკოლის მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში ემსახურებიან სოფლის ამბულატორიის ექიმებიც (ამბულატორია სკოლის შენობა 2-ის პირველ სართულზეა, სკოლის ეზოში).

რჩევა: 2025-2026 სასწავლო წლიდან განხორციელდეს სამედიცინო კაბინეტში დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად, გაკეთდეს შესაბამისი ჟურნალები.

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

3.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით აწვდის ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის, უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის, სამსახურებრივი ნომრების და აღნიშნული პირების/უწყებების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვაში ჩართულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესროგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი. სკოლის შესასვლელში, სასწავლო პროცესის დროს, მუდმივად არის სკოლის მორიგე თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ვიზიტორებს და აწარმოებს მათ აღრიცხვას. დერეფნებში მორიგეობენ მასწავლებლები. მუდმივად ჩართულია შიდა და გარე სამეთვალყურეო კამერები.

3.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.**

სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, სადაც მოცემული რეგულაციები ხელს უწყობს სკოლის გარემო იყოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო საზოგადოებისათვის. სსიპ სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავს და თავადაც წარმოადგენს თანამშრომლობითი კულტურის განვითარების მაგალითს, რასაც ადასტურებს გადაწყვეტილებების არაერთპიროვნული მიღება.

3.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურება 2 დამლაგებელი. სველ წერტილებში არის თხევადი საპონი, საპირფარეშოს ქაღალდი და ხელსახოცი, სკოლაში

პერიოდულად ტარდება სადერატიზაციო სამუშაოები. ყველა სართულსა და დერეფნებში არის სანაგვე ურნები, რომელიც უზრუნველყოფს ჰიგინის დაცვას. სველი წესით იწმინდება დერეფნები. სკოლას აქვს წყლის დამატებითი რეზერვუარი, რომელიც გამოიყენება წყლის შეწყვეტისას, ან სახანძრო შემთხვევის დროს. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო.

დამლაგებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილ დამლაგებლის ვადებულებებში იკვეთება, თუ სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის რა პროცედურები აქვს, თუმცა სკოლას არ აქვს წარმოდგენილი მკაფიოდ გაწერილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები.

რჩევა: სასურველია, თუ სკოლა შეიმუშავებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებისა და პროცედურების ამსახველ დოკუმენტს. ამით სასკოლო საზოგადოება იქნება მაქსიმალურად ინფორმირებული სკოლაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ.

4.3.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.**

სკოლას შემუშავებული აქვს „ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი“ , რომლის მიხედვითაც სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.

სკოლაში პერსონალური მონაცემები მუშავდება მიზნის შესაბამისად და ინახება, იმ ვადით, რომ მიღწეული იყოს მისი დამუშავების მიზანი. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიღწევების, სერტიფიკატების, ფოტოების, ნამუშევრების და ა.შ გასაჯაროებისთვის (საჭიროების შემთხვევაში) სკოლა წინასწარ უთანხმდება მოსწავლეს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს. დაცულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები.

სსიპ სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლაში დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2025 წლის 21 მარტის N10 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ასევე, სკოლის დირექტორის მ/შ ა/წლის 21 მარტის N2-9 ბრძანებით განისაზღვრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი.

3.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.**

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლაში არის უწყვეტი ინტერნეტი. მასწავლებლები და მოსწავლეები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს, ხოლო მოსწავლეები student.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი

მოსწავლეებისათვის. მონაცემების დაცვის მიზნით სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა, რომელიც ლიცენზირებულია. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით, კიბერუსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში, საუბრები იმართება მშობლებთანაც.

3.4.1.7 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებთან დაკავშირებით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ყოველწლიურად 10 დეკემბრისთვის სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის უსაფრთხოების შესახებ. ანგარიშის ანალიზის შედეგად იგეგმება მომავალი საქმიანობები სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

რჩევა: სასურველია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც განახორციელებს სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რასაც სკოლა გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

3.4.1.8 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის 2024 – 2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- სკოლის დირექტორის მ/შ წერილი MES2250000589684-28/05/2025 შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით.
- 2025 წლის 25 მარტის N2/10 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
- შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან MIA82500936882 - 28/03/2025 შეთანხმების წერილი;
- 2025 წლის 11 მარტის ხელშეკრულება Nე-69 სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან;

- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი,
- რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება და შიდა ინსტრუქციები;
- სამედიცინო მომსახურების წესი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- პედაგოგების მორიგეობის განრიგი;
- დარაჯის ხელშეკრულება;
- ექთნის ხელშეკრულება, კონკურსით შერჩევის ამსახველი დოკუმენტები;
- დირექტორის მ/შ-ს ყოველწლიური ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

   სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოში (ს/კ 71.65.78.148), 7952,6 კვ.მ მიწის ფართობზე. სკოლას აქვს N1 ორსართულიანი შენობა 820,88 კვ.მ ფართით, N2 სამსართულიანი შენობა-პანსიონი 590 კვ.მ ფართით, ასევე N3 ნაგებობა - გათბობის საქვაბე 28,26 კვ.მ, N4 დამხ. სამეურნეო 24,78 კვ.მ, N5 - წყლის რეზერვუარი 30,43 კვ.მ და N6 - ღია სპორტული მოედანი 327,5 კვ.მ ფართით. სკოლა შენობას ფლობს უზურფრუქტის საფუძველზე, არის სახელმწიფო ქონების მოსარგებლე 2015 წლიდან.

სკოლის N1 შენობის პირველ სართულზე განლაგებულია:

ცენტრალური შესასვლელი/დერეფანი, შიდა სპორტული დარბაზი, სპორტის მასწავლებლის კაბინეტი, გოგონებისა და ვაჟების გასახდელები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საჭირო სათავსოთი (გამწოვი სისტემით, ონკანებით, ავეჯითა და აღჭურვილობით), სამედიცინო პუნქტი, 5 საკლასო ოთახი, ვაჟებისა და გოგონების საპირფარეშოები 3-3 სველი წერტილით, პერსონალის საპირფარეშოები, ადაპტირებული საპირფარეშოები, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის (ვიდეოკამერების) ოთახი.

სკოლის მეორე სართულზე განლაგებულია: სამასწავლებლო, დირექტორისა და ადმინისტრაციის კაბინეტები, საკონფერენციო და 8 საკლასო ოთახი.

სკოლაში სულ 13 საკლასო ოთახია, რომლებიც დაყოფილია დაწყებითი კლასებისა და საგნობრივი პროგრამების კაბინეტების მიხედვით. საკლასო ოთახებში მერხები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით. ვიზუალური დათვალიერებისას ყველა საკლასო ოთახში განლაგებული იყო კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხები. სკოლას აქვს 195 მერხი, რომელის დიდი ნაწილი დასაწყობებულია.

სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი და სარეკრეაციო ზონები ნარგავებით. სკოლა შემოსაზღვრულია ღობით. სკოლის ეზოშია ასევე განთავსებული ნაგებობა წყლის ავზით, რაც გამოიყენება ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის და ფეკალიის დასამუშავებელი მოწყობილობები.

სკოლის სპორტული დარბაზი და ინვენტარი საშუალებას იძლევა სკოლამ განახორციელოს მრავალფეროვანი სპორტული აქტივობები. სპორტული დარბაზი აღჭურვილია საჭირო რესურსებით.

სკოლის N1 შენობის დერეფნები, კიბის უჯრედები მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები, სკოლის შენობის შიდა სივრცეში განთავსებულია სანავიგაციო ნიშნულები. სკოლის ინფრასტრუქტურა რეაბილიტირებულია სრულიად და მოწესრიგებულია.

სკოლას ასევე აქვს N2 შენობა - სადაც განთავსებულია პანსიონი. სკოლის N1 შენობის რეაბილიტაციის დროს სკოლა იყენებდა მოცემულ ფართს, სადაც მეორე სართულზე განთავსებულია დარაჯის ოთახი, 12 საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო. მოცემულ ფართს სკოლა მიმდინარე პერიოდში აღარ იყენებს. პანსიონი განთავსებულია მესამე სართულზე. პანსიონი მოიცავს წიგნების სათავსოს, სამეცადინო ოთახს, სათავსო ოთახს, მოსასვენებელ ოთახს, ვაჟებისა და გოგონების საძინებლებს, ვაჟებისა და გოგონების სველ წერტილებს აბაზანით, 1

დამატებით საძინებელს. მესამე სართულის მეორე ნახევარი იზოლირებულია შესასვლელით და ამ ფართით სარგებლობენ მასწავლებლები. პანსიონი ემსახურება 3 მოსწავლეს.
ამავე შენობის პირველი სართულის გარკვეული ნაწილი უკავია სოფლის ამბულატორიასა და საბავშვო ბაღს (ორივე დაწესებულებას აქვს იზოლირებული შესასვლელი შენობაში, თუმცა სკოლის ეზო საერთოა). პირველი სართულის მცირე ნაწილში განთავსებულია სამზარეულო და სასადილო ოთახი, რაც გამოიყენება პანსიონში მცხოვრები მოსწავლეების კვებისთვის.
სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით 100 მოსწავლეზე.

3.5.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.**

სკოლას აქვს საჭირო ციფრული ტექნიკა: კომპიუტერები, ლეპტოპები, პრინტერი/სკანერი. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია მაგნიტური დაფა, სათავსო-კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა... ეს ყველაფერი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შიდა და გარე სპორტული მოედნები, მუსიკის ოთახი მრავალფეროვანი საკრავებით მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია და საშუალებას იძლევა საინტერესო ფორმალური და არაფორმალური, კლუბური და საწრეო მუშაობა განხორციელდეს სკოლაში. სკოლას დამტკიცებული აქვს კომპ. ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკასა და კომპ. ლაბორატორიაში მუშაობის წესები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე.

3.5.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.**

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რაც ნებისმიერი დაინტერესებული მოსწავლე-მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 600-მდე წიგნი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის სახით. ასევე წარმოდგენილია მეთოდური ლიტერატურაც. წიგნადი ფონდის უდიდესი ნაწილი დამუშავებულია ელექტრონულად და შეტანილია ელექტრონულ ბაზებში, აღრიცხულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესის შესაბამისად, გაკეთებულია კარტოთეკები, ხდება წიგნადი ფონდის მოძრაობის აღრიცხვა-გატარება შესაბამის ჟურნალში. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ტექნიკით: 2 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები აქტიურად იყენებენ

ბიბლიოთეკას სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტებისათვის. ბიბლიოთეკარი ჩართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებების კეთების მხარდაჭერის პროცესში.

3.5.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის N1 შენობას აქვს პანდუსი, ლიფტი, რომელიც მოძრაობს ორივე სართულზე, რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილები. ყველა საკლასო ოთახი დანომრილია, გამოკრულია გაკვეთილების განრიგი. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსები, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები, მათემატიკური მანიპულატივები. მითითებულია ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, სპორტული დარბაზის აბრები, ასევე საპირფარეშოების ნიშნულები. სკოლას ასევე აქვს პანსიონი და აქ დამრჩენი მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა, რათა მათ იგრძნონ თავი უსაფრთხოდ, კომფორტულად და რეალიზებულად სკოლაში.

3.5.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.**

სკოლას აქვს შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი ყველა საჭირო რესურსით, ბიბლიოთეკა, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, შეხვედრები თემთან, სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლა მნიშვნელოვანი ეპიცენტრია მაღალმთიანი დასახლებისთვის.

3.5.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის 2024 – 2025 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა 2024-2025;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი;

- **სკოლის N1 და N2 შენობების საევაკუაციო ნახაზები;**
- **მერხების, ტექნიკის, ავეჯის, რესურსების მიღება-ჩაბარებების ამსახველი დოკუმენტაცია;**
- **ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;**
- **ბრძანება მატერიალური რესურსით სარგებლობის წესის შესახებ და წესი;**
- **საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები;**
- **სკოლის ვიზუალური დათვალიერება;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.**
   სკოლის ადმინისტრაციის, სამასწავლებლოს სივრცეებში განთავსებულია პორტაბელური კომპიუტერები და ლეფთოფები, პრინტერები, სკანერები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსიპ ციფრული განვითარების გეგმა 2025-2027, სადაც აღწერილი აქვს სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, 13 კომპიუტერი, 6 ლეფთოფი, 3 პროექტორი, 2 ცალი 3დ სათვალე, 1 ფერადი და 4 შავ-თეთრი პრინტერი, 3 სადემონსტრაციო ეკრანი.

ამის გარდა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებსა და კლასის დამრიგებლებს გადაეცემათ ბუკები. ციფრული ტექნიკა და ინფრასტრუქტურა სრულიად საკმარია სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის. სკოლის სივრცე დაფარულია Wifi ქსელით და შესაძლებელია ინტერნეტით სარგებლობა. ინტერნეტით სარგებლობის დროს მოსწავლე დაცულია არასანდო პლატფორმებზე წვდომისაგან.

სიახლეები მუდმივად თავსდება სკოლის სოციალურ გვერდზე. მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. სკოლა იყენებს facebook-ის, Temas-ის პლატფორმას მშობლებთან, მასწავლებლებსა და ადმინსტრაციას შორის სწრაფი კომუნიკაციისათვის. მშობელს შეუძლია ასევე, მიმართოს ან გაუგზავნოს შეკითხვა სკოლას ოფიციალურ მეილზე.

3.6.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და სკოლის პერსონლისთვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის განკუთვნილ საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 7 მუშა მდგომარეობაში მყოფი კომპიუტერი და 6 ლეფთოფი. შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის გრაფიკი. საგაკვეთილო პროცესის შემდეგ 17:00 საათამდე აღნიშნული სივრცით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობით.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებითაც ირკვევა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია მოსწავლეებისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია, ტექნოლოგიების ლაბორატორია მუშაობს ტესტირებების, ოლიმპიადების, ექსტერნების გამოცდებთან დაკავშირებით წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. გამოყოფილია ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი.

მასწავლებლეთა საზიარო სამუშაო სივრცეც კომპიუტერული ლაბორატორიაა, თუმცა ლეფთოფებით მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამასწავლებლოშიც. ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახი. ადმინისტრაცია სარგებლობს საკაბელო ინტერნეტითაც.

სკოლას აქვს დაცვის ოთახი, სადაც განთავსებულია მუდმივად ჩართული კომპიუტერი, სადაც თავს იყრის 6 შიდა და 8 გარე ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ჩანაწერი.

3.6.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარებები ციფრული ტექნიკის შესახებ;
- ელექტრონული ჟურნალი: https://onlineschool.emis.ge/auth
- სკოლის პორტალი: http://bit.ly/4ikZBEl
- სკოლის სოც. გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100085231037426
- ტექნიკის, ინვენტარის მიღება-ჩაბარებები;
- სკოლის ინფრატრუქტურის ვიზუალური დათვალიერება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.**
   სკოლაში დანერგილია და პრაქტიკაში მუშაობს საქმისწარმოების ღია, მოქნილი და მოსწავლეზე ორიენტირებული სისტემა. სკოლას აქვს დირექტორის მ/შ-ს 2023 წლის 28 დეკემბრის N2-19 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც ახდენს განცხადებების, წერილების და თანდართული დოკუმენტაციის მიღებას და რეაგირებას. სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული განცხადებების/წერილების ჟურნალს მატერიალური სახითაც. მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით. ბრძანებები შინაარსის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: საკადრო ბრძანებები და საერთო, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბრძანებები, რომელთა რეგისტრაციაში გატარებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი ცალცალკე ჟურნალში. საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირდება დირექტორის ბრძანებები ნებისმიერ საკითხზე (გარდა საკადრო ხასიათის ბრძანებებისა) ბრძანებების ნომრის მინიჭება ხდება შემდეგი წესით, ჯერ მიეთითება ჟურნალის ნომერი, შემდეგ ტირე და რიგითი ნომერი, მაგ; 2-01. საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირდება დირექტორის ბრძანებები სკოლაში საკადრო საკითხებთან დაკავშირებით (თანამშრომელთა გადადგილება; გათავისუფლება, მივლინება, შვებულება, წახალისება, შრომითი ურთიერთობების შეჩერება, დროებით შეჩერებული შრომითი ურთერთბის განახლება) მაგ.: 1/კ-01.

3.6.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.**
   სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow - ს საშუალებით. აღირიცხება შემოსული, გასული კორესპოდენციები და დირექტორის გამოცემული ბრძანებები. ამის გარდა სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა barisakho@mes.gov.ge. სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით.
   3.6.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.**
   სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი.
   3.6.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**
   სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კანონის შესაბამისად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და ახორციელებს უკუკავშირს. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი პროტოკოლი - 10 დეკემბრის ანგარიშის სახით. ასევე 20 ნოემბრამდე შესყიდვების გეგმას არეგისტრირებს spa.ge-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ გვერდზე.
   3.6.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის საქმისწარმობის წესი;

- eflow და eschool ციფრული პლატფორმები;
- საქმის წარმოების წესი;
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიშები საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.**

   სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალურ ქსელში არსებული პერსონალური გვერდით. კერძოდ, სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ასახავს ინფორმაციას სიახლეებისა და აქტივობების შესახებ. სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ფოსტას barisakho@mes.gov.ge., teams-ის პლატფორმას, facebook-ის დახურულ ჯგუფს მოსწავლეების, მშობლებისა მასწავლებლებისათვის. ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული ჟურნალი. სკოლის Facebook-ის გვერდი და პორტალი, რომელზედაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია...). სკოლას აქვს პორტალი, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციისთვის. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად ათავსებს სიახლეებს. სკოლა კლასის დამრიგებლების ჩართულობით, სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების განხილვა/გაზიარების მიზნით.

   3.6.3.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**

   სკოლა განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებს საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელი უწყებებიდან და შესაბამისად ინფორმაცია სანდო და უტყუარია. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია იმ მასწავლებელთან, სკოლის თვითმმართველობასთან, ან სკოლის წარმომადგენელთან, რომელიც ახორციელებენ აღნიშნულს. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3.6.3.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

   საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ გვერდს საზოგადოებისგან უკუკავშირის მისაღებად. სკოლაში მოქმედებს რჩევებისა და წინადადებების ყუთი, მასში განთავსებულ ინფორმაციას პერიოდულად ამუშავებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და წინადადებებით მიმართავს დირექციას. ასეთი მიმართვის საფუძველზე სკოლამ კეთილმოაწყო და გაამწვანა სკოლის ეზო და მისი ცენტრალური შემოსასვლელი.

   3.6.3.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.**

   სკოლა აქვს ოფიციალური მოქმედი ვებ-გვერდი http://bit.ly/4ikZBEl , სადაც ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე.

   3.6.3.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

   სკოლის ვებ-გვერდის შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამები, შინაგანაწესი, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია.

   3.6.3.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს ციფრული სტრატეგია;
- ელექტრონული ჟურნალი: https://onlineschool.emis.ge/auth
- სკოლის პორტალი: http://bit.ly/4ikZBEl
- სკოლის სოც. გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100085231037426
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.**
   სკოლის შემოსავლები მოიცავს მოსწავლის ვაუჩერულ დაფინანსებასა და მასწავლებელთა სერტიფიცირების დანამატს. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის ფინანსები უზრუნველყოფს ყველანაირ კომუნალურ ხარჯს: ელექტროენერგიის, გაზმომარაგების, წყლის მოწოდების, დასუფთავების, დაცვის და სხვა ხარჯებს. სკოლის სამოქმედო გეგმა შედგენილია, სკოლის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და უზრუნველყოფილი იქნება მისი განხორციელება.
   3.7.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლა ყოველი წლის ნოემბერში ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას და წარადგენს შესაბამის სამსახურთან. წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს, საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის ცვლილება, თუმცა, ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს, დირექტორი წელიწადში ორჯერ წარადგენს ფინანსურ ანგარიშს. სკოლის ბუღალტერი თანამშრომლობს დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფინანსისტთან, რის ფარგლებშიც ხდება წლიური ბალანსის წარდგენა, სკოლაში მიმდინარე ფინანსური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სკოლა 2024 წლიდან გადავიდა საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაზე. სისტემა თავადვე აკეთებს მიმდინარე ოპერაციების მონიტორინგს და ხარვეზის შემთხვევაში სკოლა იღებს უკუკავშირს.

3.7.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის 2025 წლის შესყიდვების გეგმა;
- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა - ბიუჯეტი 2025;
- სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- მიღება - ჩაბარების აქტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

   სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო;
- სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი;
- განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით“.
სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.
სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეტესო ინერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია.

მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, ან თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზია არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვა, სკოლა მოქმედებს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.

სკოლამ ასევე წარმოადგინა სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლის შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის რეგულაციები, მოსწავლე ისარგებლებს ყველა პირობით, რაც დადგენილია კანონით - სირთულეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის რეგულაციებით.

4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგანაწესით. შინაგანაწესის მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია დამრიგებელი. ის სასწავლო წლის დასაწყისშივე კრებაზე აცნობს მას მშობლებს და მოსწავლეებს, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ გაცნობის ფაქტს ხელმოწერით. შესაბამისი ოქმები სადამრიგებლო პორტფოლიოში ინახება.

სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რაც აქტიურია და განთავსებულია სკოლაში მიდინარე აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, განცხადებები და სხვა. სკოლის პორტალზე გამოქვეყნებულია „კანონიერი უფლებების დაცვის“, „პერსონალური მონაცემების დაცვის“, „მოსწავლეთა ჩარიცხვის“, „განცხადებისა და საჩივრის განხილვის“ წესები, სკოლის შინაგანაწესი.

მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს. თითოეული

მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

4.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

სკოლამ წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულების ნიმუში, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. აგრეთვე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა მშობელთან დადებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანხმობას მოსწავლეთა სასკოლო თუ არასასკოლო აქტივობებში (მაგ. გაკვეთილები, ექსკურსიები, კონკურსები, პროექტები, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები, ოლიმპიადები, შეჯიბრებები, გასვლითი შეკრებები და ა.შ.) გადაღებული ფოტოს, ვიდეოს და აუდიო ჩანაწერების საციალურ ქსელში, საჭიროებისამებრ განთავსებაზე.

4.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- მოსწ. ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- განცხადებისა და საჩივრს განხილვის წესი;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულება;
- შეთანხმება მშობელთან;
- სკოლის პორტალი: http://bit.ly/4ikZBEl

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.**
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა;
   შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში.
   4.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.**
   სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით „5“-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს.
   4.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს მეორე უცხოურ ენას ასარჩევად. რის შესახებაც ინფორმაცია იდება სკოლის სოციალურ ქსელში და დამრიგებელი მეოთხე კლასის ბოლო მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს ამ ინფორმაციას. საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება. სკოლის სურვილია მაღალმთიან რეგიონში მყოფ მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო ყველანაირი მომსახურება მიიღონ ადგილზე. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით ხორციელდება პროექტი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით (დაფინანსებით), რომლის ფარგლებში ყოველწლიურად იქმნება კლუბები მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს პანსიონურ მომსახურებას, ასევე სიმღერის, ხელგარჯილობისა და მკითხველთა კლუბებს, ვებპროგრამირებასა და საბავშვო უნივერისტეტს.

4.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებულობას და მათგან იღებს თანხმობას, ამისათვის სკოლას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმა, სადაც მშობლები საკუთარ თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერებით. აგრეთვე ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში, ზიარდება სოციალურ გვერდზე. სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. კლუბების მუშაობა დაფინანსებულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ, ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ. მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა.

4.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- პანსიონის დაფინანსების შესახებ ხელშეკრულება;
- კლუბების დაფინანსების ხელშეკრულებები;
- კლუბის კოორდინატროების (ხელგარჯილობის, სიმღერის, მხატვრული კითხვის) ანგარიშები განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- სკოლის შიდა ბრძანებები - e-Flow
- სკოლის პორტალი: http://bit.ly/4ikZBEl
- სკოლის სოციალური გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.**

   სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში

ადაპტაციის გაადვილების მიზნით. დირექტორი დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს; კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს; ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას,ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან.

4.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

სსიპ სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, მაგალითად, როდესაც მოსწავლე სხვა სკოლიდან გადმოდის და არ აქვს მთის სკოლაში სწავლის გამოცდილება, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აცნობენ სკოლის გეოგრაფიას, სპეციფიკას, სოფლის ისტორიას და ტრადიციებს. სკოლის კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, პანსიონური მომსახურება, კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო უადვილებს მოსწავლეს სასკოლო საზოგადოების წევრობას პირველივე დღიდანვე.

4.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.**

სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი, გამოვლენილი შედომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები შემოქმედებითი, კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავების ეტაპებზე იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლებების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერები ქართულსა და მათემატიკაში დაწყებით საფეხურზე. დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტირება, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა.

აქტივობების დაგეგმვისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.
სკოლას გამოყოფილი აქვს პარასკევი დღე 13-დან 17-საათამდე მშობლებთან საკომუნიკაციოდ. მშობლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრებას, გაესაუბრონ დამრიგებელს და საგნის მასწავლებლებს. გარდა ამისა მშობლებთან კომუნიკაციის წესში გაწერილია, რომ მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შვილის მიღწევების შესახებ ნებისმიერი წყაროდან იქნება ეს ელექტრონული ჟურნალი, ტელეფონი, პირადი შეტყობინება, თუ ჩანაწერიდან მოსწავლის რვეულში. დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, თანამშრომლობს მშობლებთან და ერთობლივად ცდილობენ მოაგვარონ შექმნილი სირთულეები.
4.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

სკოლის დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, კლასის კრებებზე, მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი გაანათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს იდენტიფიცირებას. ასევე, მოსწავლეები და მათ მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები საჭიროების შემთხვევაში იღებენ ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ.
სასწავლო პროცესში დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ეფექტიანი სწავლება და შეფასება. ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ ისარგებლოს შინ სწავლებით. სკოლის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.
4.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას. დაგეგმილია აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ყველა სასკოლო აქტივობა მხარდაჭერილია დამრიგებლების მიერ.

მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული eTwinning -ის პროგრამაში და სამომავლოდაც გეგმავენ მონაწილეობას ევროპული სკოლების ფარგლებში. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები:

- მკითხველთა კლუბი - რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეების აქტიურ და კარგ მკითხველებად ჩამოყალიბებას, მათი წიგნიერების დონის ამაღლებას. კლუბში გაწევრიანებულია ყველა საფეხურის მოსწავლე.
- ხელგარჯილობის კლუბის - მონაწილეები პროექტის ფარგლებში ცდილობენ ნარჩენი, სამშენებლო და სხვა მასალისგან შექმნან ხელნაკეთი ნივთები, აქსესუარები და დეკორაციები.
- სიმღერის კლუბის - ფარგლებში სკოლაში შექმნილია ორი ანსამბლი - ბავშვთა საესტრადო სიმღერების ანსამბლი და ხალხური საკრავებისა და სიმღერის ანსამბლი. ორივე ანსამბლი დიდი წარმატებით მონაწილეობს კონცერტებსა და ფესტივალებზე.
- საბავშვო უნივერსიტეტი - შეიქმნა 2025 წლის იანვარში, რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან მიღებული გრანტით. მოცემული პროექტის ფარგლებში სკოლა თანამშრომლობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. საბავშვო უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ხელოვნური ინტელექტის ტრანსფორმაციული პოტენციალის შეცნობას, ციფრული ინოვაციების გაზიარებას, მათი იდეების რეალიზებას, პროექტის ამოცანაა საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების მიერ საჯარო ლექციების ჩატარება, სადაც განხილული იქნება მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური სიახლეები მეცნიერების მიმართულებით. ექსპერთთა ვიზიტის დროს მოცემული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეები წარადგენდნენ საკუთარი ინოვაციური იდეების პრეზენტაციებს სასკოლო საზოგადოებასთან და ცდილობდნენ მათი თემის პრობლემების მოგვარებას.

კლუბური მუშაობის გარდა, სკოლაში აქტიურია სადამრიგებლო მუშაობაც, რის ფარგლებშიც ხორციელდება ასევე საინტერესო აქტივობები. სკოლაში მიმდინარეობს სასკოლო პროექტები, სპორტული ღონისძიებები, შემოქმედებითი საღამოები, გარემოსდაცვითი აქტივობები, პრეზენტაციები და კონფერენციები. სკოლის ვიზუალური დათვალერებისას საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები და პროდუქტები. სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების აქტოვობებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივების ამსახველი ღონისძიებები ასახულია სკოლის სოციალურ გვერდზე.

4.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ბარისახოს საჯარო სკოლაში მიმდინარე ეტაპზე სწავლობს 34 მოსწავლე. სკოლა მცირეკონტიგენტიანია. დირექტორის მ/შ-მ განაცხადა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და მათი მშობლების უკუკავშირები. ძირითადად იყენებენ ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფებს "კლასის საათის" მშობელთა კრებების ფარგლებში, სკოლის მოსწავლეთა რიცხოვნობის გათვალისწინებით. ელექტრონულ გამოკითხვებზე მაღალმთიანი რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას უჭირს რეაგირება, რადგანაც ხშირად ინტერნეტი ხელმისწავდომი არ არის მოსახლეობისათვის. ამის გათვალისწინებით ხდება სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება. მაგალითად, პანსიონური მომსახურების ფარგლებში შექმნილია ანგარიშებისა და უკუკავშირების სხვადასხვა ფორმები.

4.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;
- კლუბების დაფინანსების ხელშეკრულებები;
- კლუბების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- მშობელთა კრების ოქმი;
- რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- შინაგანაწესი;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.**

სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან. პროფესიული ორიენტაციის მიზნით დაგეგმილია აქტივობები სადამრიგებლო საათზე, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე, სხვადასხვა საგნობრივ პროგრამებში, რაც ერთერთი გამჭოლი პრიორიტეტია სასკოლო კურიკულუმებში.

4.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**

სკოლა ინტენსიურად აწვდის მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების ვიზიტი და შეხვედრები მოსწავლეებთან.

4.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლის ადმინისტაცია და კლასის დამრიგებელები გამოკითხვით მუდმივად იკვლევლევენ სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებს უმაღლეს სასწავლებლებში, ახდენს შედარებას გასული სასწავლო წლის შედეგებთან და ანალიზის საფუძველზე გეგმავენ ღონისძიებებს სწავლა სწავლების პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

4.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- სამოქალაქო განათლების, მე და საზოგადოების საგნობრივი კურიკულუმები;
- კლუბების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები;
- სკოლის სოციალური გვერდი;

➢ მშობელთა კრებების ოქმი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი.**
   სსიპ სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლას მიმდინარე პერიოდში არ ერიცხება სსსმ მოსწავლე. სკოლის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი - „ სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“, რომელიც ითვალისწინებს - სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას, სამოქმედო გეგმის შედგენას, სწავლის სირთულეების იდენტიფიცირებას, სტატუსის მიღებისა და მოხსნის რეგულაციებს, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაციებს.
   სკოლის ინფრასტრუქტურა, სრულფასოვანი ადაპტირებული გარემო ხელს შეუწყობს ასეთი საჭიროების მოსწავლეს იყოს რეალიზებული სასკოლო გარემოში.
   4.2.3.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**
   სკოლის სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციებში წარმოდგენილია აქტივობები და პასუხისმგებელი პირები, რითაც იკვეთება, რომ სსსმ მოსწავლის განვითარებაში ჩაერთობა სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებულია თანამშრომლობითი აქტივობები და პროცედურები სკოლის დირექციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით. მოსწავლის იდენტიფიცირების შემთხვევაში, განხორციელდება შესაბამისი კადრის (სპეც. მასწავლებელი/ასისტენტი) შერჩევა. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ თემში არსებულ საზოგადოებას ხშირად უჭირს მოსწავლის განსხვავებული საჭიროებების აღიარება. ამ მიმართულებით გეგმავენ ცნობიერების ამაღლების აქტივობებს მშობელთა და მოსწავლეთათვის.
   4.2.3.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სკოლის ვიზუალური დათალიერება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სსიპ სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს მოსწავლეებისათვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას:
   - საესტრადო სიმღერის წრე,
   - ქართული ხალხური სიმღერის წრე,
   - ძიუდო

   საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 31 დეკემბრის N1675764 ბრძანების საფუძველზე „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი 32 02 12) „ზოგად განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში სკოლის ბაზაზე ხორციელდება, აგრეთვე, პანსიონური მომსახურება იმ მოსწავლეებისთვის, რომელთა საცხოვრებელი სკოლიდან 15-20 კმ-ით არის დაშორებული სკოლიდან. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება სკოლის დამხმარე/პანსიონის შენობაში. ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან როგორც საცხოვრებლით, კვებით, ასევე ტრანსპორტითაც (ორშაბათი-პარასკევი). სკოლას ეკისრება ვალდებულება „დამფინანსებელს“ წარუდგინოს ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ვალდებულებების თემატური (შინაარსობრივი და ხარისხობრივი შესაბამისობის) ანგარიში

ყოველი წლის დასასრულს, რაც დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც გრძელდება მომდევნო წლის მომსახურება.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უფასო ტრანსპორტირების სერვისს, რასაც კოორდინირებას უწევს დუშეთის რესურსცენტრი და აფინანსებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. სკოლას ემსახურება ორი მარშრუტი, წარმოებს შესაბამისი ტაბელი, სადაც აისახება ყოველდღიური მარშრუტი, რაც უნდა გაითვალისწინოს მძღოლმა და დაიცვას მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების ნორმები. ტაბელი დამოწმებულია ხელმოწერებით სკოლისა და მძღლის მხრიდან.

4.2.4.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.**

   სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. შეთავაზებულ მომსახურებებს მშობლები და მოსწავლეები ირჩევენ სურვილისამებრ.

   4.2.4.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

   სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. უსაფრთხოების არსებული ნორმები დაცულია როგორც კვების ობიექტში, ასევე წრეების მომსახურების ფუნქციონირებისას.

   პანსიონური მომსახურებით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, სადაც დასაქმებულია კვალიფიცირებული კადრები. პანსიონურ მომსახურებას სააღმზრდელო მიმართულებით კოორდინირებას უწევს შესაბამისი პერსონალი: კოორდინატორი, 2 აღმზრდელი, 2 აღმზრდელის ასისტენტი, ექთანი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, დამლაგებელი, მნე, მრეცხავი, დარაჯი/ცეცხლფარეში და სანტექნიკოსი/ხელოსანი. მუდმივად დაცულია თითოეული მოსწავლეების უსაფრთხოება. პანსიონური მომსახურების ფარგლებში მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს როგორ ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიღების მრავალფეროვან შესაძლებლობასა და კეთილმოწყობილ, პოზიტიურ გარემოს.

   4.2.4.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება სკოლასა და განათლები, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის;
- ხელშეკრულებები პანსიონის პერსონალთან;
- პანსიონში მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანებები;
- კლუბის მასწავლებლების ხელშეკრულებები და ანგარიშები;
- ტრანსპორტის მომსახურების ტაბელი;
- ტრანსპორტის გამართულობის დოკუმენტები;
- პროდუქტების შესყიდვის ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხურის** **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხურის** **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, საკითხები და სასწავლო რესურსები.

2.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულები, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები ასევე მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში.

2.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. კათედრაზე პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. მათ აღნიშნეს, რომ წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასკოლო პროექტებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამასთან, სკოლამ წარმოადგინა ავტორიზაციის პროცესზე მუშაობის ამსახველი მასალა.

2.1.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგებთან ინტერვიურების საფუძველზე გაირკვა, რომ კათედრებმა შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, კურიკულუმი გაზიარებული იქნება და ხელმისწავდომი გახდება სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი სახით, თუმცა მიმდინარეობს აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა. კერძოდ, დოკუმენტში არ არის გამოკვეთილი აქვთ თუ არა სასკოლო საზოგადოების წევრებს მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. ამასთან დაკავშირებით, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმს და ისინი ინფორმირებულნი არიან მის შესახებ. კერძოდ, მათ მიეწოდებათ უკუკავშირი და გამოკვეთილია თითოეულის პასუხიმგებლობაზე დაფუძნებული ჩართვა პროცესებში. ამასთან, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

2.1.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;**
- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **სკოლის მისი-ხედვა-ღირებულებები;**

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. საგანში (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შემუშვებული კურიკულუმების განხილვის და ონლაინ ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულმა პასუხებმა, მოგვცა საშუალება ვთქვათ, სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს დახვეწას. მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას. **რჩევა-** როგორც დაწყებით ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე ყველა საბუნებისმეტყველო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი სავალდებულო თემები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნები, გაიწეროს ყველა საფეხურის ყველა თემაში და საკითხები/საკითხთა კლასტერები დაკონკრეტდეს, რათა მოერგოს მოსწავლის საჭიროებებს, გახდეს მოსწავლეზე ორიენტირებული.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები მოსწავლეებს გაუღვივებს ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის განცდას, მისცემს მათ ავტონომიურობისა და შემოქმედებითობის გამოვლენის საშუალებას.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. სამივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა, გერმანული ენა) უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშვებული კურიკულუმები და ონლაინ შეხვედრის დროს მიღებული პასუხები მოგვცა საშუალება

	ვთქვათ რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). სამივე უცხოური ენის კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს მასწავლებლების მიერ მოჰყვანილი შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის ეტაპების აღწერა ნებისმიერ მოსწავლეს უქმნის საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას.
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი შინაარსი (დავალებები, შემოქმედებითი პროდუქტები, აქტივობები) ასახავს სწავლის პროცესს, რომელიც განიხილავს ცოდნის აქტიურ კონსტრუირებას, მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებით. ***სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა - X-XI კლასების ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნების კურიკულუმი, რომელიც უნდა ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს, მის შედეგებს, მასში მოცემულ გრძელვადიან მიზნებს(სამიზნე ცნებებს). შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისობაშია.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს.
მათემატიკა	კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მცდელობა: დავალებები ისეა შერჩეული, რომ დაკავშირებული იყოს მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან (მაგალითად, პარკის დაგეგმარება ან ბაღის გაზომვა). თუმცა ასეთი აქტივობები სამივე საფეხურზე (გარდა 1-ლი, მე-2 კლ და მე-12 კლ.) საფეხურზე ძალიან ცოტაა, მაგალითად კურიკულუმში განსაზღვრული აქვთ 8-9 თემა საშუალოდ და 2-3 შემოქმედებითი ტიპის დავალება, შესაბამისად ნაკლებად ეძლევათ მოსწავლეებს თვითგამოხატვის, ინიციატივის ან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. გარდა შინაარსობრივი ასპექტისა, კურიკულუმების სტრუქტურა, სვეტთა დასათაურება განსხვავდება: ზოგან გამოყენებულია „კომპლექსური დავალება“, სხვაგან – „შემოქმედებითი

	დავალება“ ან „შუალედური მიზანი“ ასევე განსხვავებულია ცხრილების დიზაინი და ტექსტური სტილი, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. **რჩევა:** ყველა კლასის კურიკულუმში მიზანშეწონილია დაემატოს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე მიბმული აქტივობები, სადაც მოსწავლე თავად გეგმავს, წარადგენს და აფასებს შედეგს (მაგ: ბიუჯეტის შედგენა, გამოფენის მოწყობა, პროექტის წარდგენა თანაკლასელების წინაშე). გარდა ამისა, საჭიროა ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ეს ხელს შეუწყობს უკეთეს აღქმას და სკოლაში კურიკულუმების თანხვედრას.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენსმოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს,ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა დათვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლები ითვალისიეინებენ ბავშვების ინტერესებსა დაშეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა მოსწავლეთა აჩართულობა გაიზარდოს საგაკვეთილოპროცესში.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით მოსწავლეზე შემუშავებული კურიკულუმი ეფუძნება მოსწავლის ინტერესებს, უნარებსა და პროფესიულ მიზნებს. მოიცავს პრაქტიკულ, პროექტებზე დაფუძნებულ აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს რეალურ სამუშაო სიტუაციებთან დაახლოებას. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ციფრული რესურსების გამოყენება და ინტერაქტიური მიდგომები, რაც აძლიერებს მოსწავლის ჩართულობას, ინოვაციურ და კრიტიკულ აზროვნებას, რაც აუცილებელია ტექნოლოგიურ სფეროში წარმატებისთვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. (თუმცა,მესამე და მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველებაში სავალდებულო თემების გარდა შეცდომით არის შეტანილი დამატებით თემები.) კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები ყველა საგნის კურიკულუმში

	ყველა სავალდებულო თემაში არ არის ასახული. ასეთი დავალებები ძალიან ცოტაა (უმეტეს შემთხვევაში1 ან 2 დავალება წელიწადში), რაც მოსწავლეებს ნაკლებად აძლევს ინიციატივის, თვითგამოხატვის, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. გარდა შინაარსობრივი ასპექტისა, კურიკულუმების სტრუქტურა, კერძოდ, სვეტთა დასათაურება განსხვავდება-ზოგან გამოყენებულია „კომპლექსური დავალება“, სხვაგან – „შემოქმედებითი დავალება“ ან „შუალედური მიზანი“ ასევე განსხვავებულია ცხრილების დიზაინი და ტექსტური **რჩევა**: ბუნებისმეტყველებაში საგნობრივი სტანდარტებიდან ამოიღონ სავალდებულო თემები და ყველა სამიზნე ცნებაში დამუშავდეს საკითხები. მათემატიკის კურიკულუმებს, სასურველია დაემატოს მეტი პრაქტიკული დავალება, რაც მოსწავლის ცოდნა-გამოცდილებას შეესაბამება. სასურველია, რომ ყველა საგანში კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. სასურველია, კურიკულუმების ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა, მაგ: ყველა ჩარჩო საგნების მოთხოვნების შესაბამისად, ერთნაირ ფორმატში გაკეთდეს,დაინერგოს საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის. ეს უკეთ აღსაქმელს გახდის კურიკულუმებს

2.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. საგანში (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) ბუნებისმეტყველების კათედრის მიერ შემუშვებული კურიკულუმები შეესაბამება კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ესგ-ში მოცემულ ყველა თემის დაფარვას. კურიკულუმებში არის წარმოდგენილი კომპლექსური/კომპლექსური ტიპის, თუ შემოქმედებითი ბუნების დავალებები რომლის შესრულება ეხმარება მოსწავლეებს მიაღწიოს ესგ განსაზღვრულ მიზნებს, სამივე საფეხურზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები იმგვარადაა შექმნილი, რომ ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. კურიკულუმის ჩარჩოებში ძირითადად ასახულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება,

ასევე მითითებულია გამოყენებული რესურსებიც, ყველაფერი ეს კი ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას.

ასევე სამივე საფეხურზე თითოეული საგნის კურიკულუმში გამოიკვეთა მსგავსი ტიპის უზუსტობები:

- თემის სახელწოდების არასწორი ფორმულირება ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებულთან მიმართებით;
- სამიზნე ცნებებში ძველი ცნებებისა (მაგ: გეოგრაფიული კვლევა) და შედეგების ინდიკატორების მითითება, ასევე არ მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება და თითოეულ ცნებასთან მიმართებით არ არის განსაზღვრული ქვეცნებები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია);
- საკითხები რიგ შემთხვევებში ზედმეტად დამსხვილებულია და თემის ფარგლებში მხოლოდ 1-2 საკითხია მითითებული (ისტორია, მოქალაქეობა);
- ძირითადი კონტექსტ-მაგალითი - ზოგიერთ თემაში ერთი კომპლექსური დავალებაცკი არ არის განსაზღვრული (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია); კურიკულუმის ჩარჩოს კი „ძირითადი კონტექსტ-მაგალითის“ ნაცვლად კომპლექსური დავალების პირობა (ისტორია, ჩვენი საქართველო) აწერია;
- კომპლექსური დავალების იდეების ველი არ არის განსაზღვრული ისტორიისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში;
- მაგალითები შედარებისთვის ველი არ არის განსაზღვრული არცერთი საგნის საგნობრივ კურიკულუმში;
- გამოყენებული რესურსები - საკითხების დაჯგუფების გამო მკაფიოდ არ ასახავს თითოეულ საკითხთან მიმართებით რა რესურსი მუშავდება, ზოგ შემთხვევაში გამორჩენილია და არ არის შევსებული ეს ველი(ისტორია, ჩვენი საქართველო);

რჩევა: ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანდეს თითოეული სავალდებულო თემა და თემის ფარგლებში მუშავდებოდეს საგნის ფარგლებში არსებული ყველა სამიზნე ცნება, აქვე უნდა განისაზღვრის და მიეთითოს ქვეცნებებიც; საკითხები ჩამოშალეთ მკაფიოდ და გასაგებად, ისე რომ გარკვევით ჩანდეს რომელ საკითხთან მიმართებით რა სამიზნე ცნება და ქვეცნება მუშავდება; ძირითადი კონტექსტ მაგალითის ველში თითოეულ თემაში

	მიუთითეთ მინიმუმ ერთი შემოქმედებითი ხასიათის დავალება; ისტორიისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ჩაამატეთ კომპლექსური დავალების იდეის ველი და ასევე, მაგალითები შედარებისთვის ველი საგნებში: მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია, ასევე შეავსეთ ეს ველები კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით; გამოყენებული რესურსების ველში მკაფიოდ მიუთითეთ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით რომელი რესურსი დამუშავდება. მასწავლებლებს ვიზიტის პირველივე დღეს მიეცათ უკუკავშირი ხარვეზებისა და მათი გამოსწორების აუცილებლობის შესახებ, რაც ნაწილობრივ აღმოიფხვრა გეოგრაფიის, ისტორიისა და მოქალაქეობის საგნობრივ კურიკულუმებში, ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განაახლონ და დახვეწონ კურიკულუმების ჩარჩოები.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. სამივე საგანში (ინგლისური ენა, რუსული ენა, გერმანული ენა) უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშვებული კურიკულუმები შეესაბამება კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს ესგ-ში მოცემულ ყველა თემატური ბლოკების და თემების დაფარვას. კურიკულუმებში მრავლად არის წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები რომლის შესრულება ეხმარება მოსწავლეებს მიაღწიონ ესგ განსაზღვრულ მიზნებს სამივე უცხოურ ენაში.
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში შერჩეული კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (თემატური ბლოკი, თემა, საკითხი, ცნება, კონტექტს- მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვით. ***სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული X-XI კლასების ესთეტიკური აღზრდის ჯგუფის საგნების კურიკულუმი, რომელიც ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს, მის შედეგებს, მასში მოცემულ გრძელვადიან მიზნებს(სამიზნე ცნებებს).*** ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული

	განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით.
მათემატიკა	კურიკულუმების თემატიკა და ტერმინოლოგია შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, თავად კურიკულუმში ნაკლებად ჩანს მიზნის, აქტივობის და შედეგის შორის კავშირი აქტივობების სიმცირის გამო. მიუხედავად ამისა, გასაუბრებისას პედაგოგებმა კარგად განმარტეს, თუ როგორ უწყობს ხელს დაგეგმილი თემები და საკითხები ეროვნული მიზნების მიღწევას. თავადაც აღნიშნეს, რომ აქტივობების მრავალფეროვნება უფრო მეტად საინტერესოს გახდის სწავლების პროცესს და დაადასტურეს მზადყოფნა ამ კუთხით კურიკულუმების გაუმჯობესებისთვის. **რჩევა**: რეკომენდებულია სამივე საფეხურის კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში.
ტექნოლოგიები	კურიკულუმი სრულად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, რაც ხელს უწყობს ზოგადი კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას და მოტივაციას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნების: ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს. ამის დასტურია ე.წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება. თუმცა, კურიკულუმებში წარმოდგენილია მცირე რაოდენობით შემოქმედებითი ტიპის დავალება (მაგ. სახელმწიფო ენაში მესამე და მეოთხე კლასში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ასეთი დავალება). პედაგოგების ინტერვიუდან იკვეთება, რომ ამ თვალსაზრისით ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ და რომ გეგმავენ ამ ტიპის მუშაობის უფრო ფართოდ დანერგვას სწავლების პროცესში. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად

	მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში. (მაგ. სახელმწიფო ენაში წარმოდგენილ IV კლასის კურიკულუმში თითოეულ თემაში არ ჩანს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობა. მხოლოდ სამიზნე ცნება ტექსტია გააქტიურებული).

2.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შემუშვებული კურიკულუმები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. ეს რესურსებია: პირველ რიგში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებით სასწავლო რესურსებად კურიკულუმში მრავლად არის ბმულები (ელ. რესურსების მისამართები) რომლების ზუსტად არის მორგებული სასწავლო თემას, მიზნებს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აკმაყოფილებს სტანდარტებს თუმცა მწირი რესურსით. **რჩევა**-სასურველია ლაბორატორია შეივსოს ახალი რეაქტივებით და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისთვის საჭირო რესურსებით. სასურველია სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო კათედრამ შექმნას დამატებითი სასწავლო რესურსების ნუსხა კლასების და თემების მიხედვით რომელიც იქნება დამტკიცებული კათედრის სხდომაზე სავალდებულო (სახელმძღვანელოები) რესურსებთან ერთად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, მათ შორის: სტატიები, რუკები, გრაფიკები, დიაგრამები, ანიმაციები, ვიდეოფილმები და ა. შ. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

უცხოური ენები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშვებული კურიკულუმები და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. ეს რესურსებია: პირველ რიგში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებით სასწავლო რესურსებად კურიკულუმში მრავლად არის ე.წ. „ლინკები“ (ელ. რესურსების მისამართები) რომლების ზუსტად არის მორგებული სასწავლო თემას, მიზნებს, აგრეთვე მასწავლებლები ფართოდ იყენებენ სხვადასხვა აუდიო ჩანაწერს, როგორც სამინისტროს მიერ მიწოდებულ (სახელმძღვანელოს ახლავს აუდიო ჩანაწერები) აგრეთვე თავადაც პოულობენ ინტერნეტში ამ აუდიოჩანაწერებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ბრძანეს რომ აგრეთვე იყენებ ე.წ. ხელოვნურ ინტელექტს სხვადასხვა დავალებების შესაქმნელად. სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური ბაზა (კომპიუტერები, პროექტორები და ა.შ) იმისათვის რომ ზემოდ ხსენებული რესურსები სრულად იყოს გამოყენებული სასწავლო პროცესში **რჩევა:** სასწავლო წლის დასაწყისში უცხოური ენების კათედრამ შექმნას დამატებითი სასწავლო რესურსების ნუსხა კლასების და თემების მიხედვით რომელიც იქნება დამტკიცებული კათედრის ხსომაზე სავალდებულო (სახელმძღვანელოები) რესურსებთან ერთად. ამითი სკოლაში / კათედრაზე შეიქმნება რესურსების ბანკი რომელიც ყოველწლიურად განახლდება.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამატებითი რესურსები, ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, ბმულები. ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **რჩევა**: სასურველია მასწავლებლებმა სამივე საფეხურის კურიკულუმების შესაბამის ველში სრულად შეიტანონ ის ელექტრონული (ბმულები) თუ ფიზიკური რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილებზე.
სახელმწიფო ენა	სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის

	გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.
მათემატიკა	კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენების ზოგადი ხედვა და სურვილი, რომ ისინი დაეხმაროს მოსწავლეს სასწავლო შედეგების მიღწევაში, თუმცა კურიკულუმებში რესურსები ხშირად ჩამოთვლილია ზოგადად და სტანდარტულად, მაგალითად – სახელმძღვანელო, ტელესკოლა, ხანის აკადემია. **მაგ:** საბაზო საშუალო საფეხურზე მითითებულია მხოლოდ პლატფორმის სახელი (ხანის აკადემია) URL მისამართის ან კონკრეტული ვიდეო/გაკვეთილის დასახელების გარეშე, რაც ართულებს რესურსის ეფექტურ გამოყენებას. დაწყებით საფეხურზე მე-4 კლასის კურიკულუმში რესურსები საერთოდ არ არის მითითებული. **რჩევა:** სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება და ა.შ.)
სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები სრულად არის ორიენტირებული სწავლის შედეგების მიღწევაზე. თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფს პრაქტიკულ და გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას. რესურსები ხელს უწყობს როგორც პროფესიული კომპეტენციების, ასევე კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში უმეტესად ასახულია რესურსები, პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მათი გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს მხოლოდ

	სახელმძღვანელოს ,მათემატიკაში პირველ და მეორე კლასებში მრავალფეროვან რესურსს: სახელმძღვანელოები, ფოტომასალები, ელექტრონული რესურსები (ტელესკოლა, ფილმები, წარმოდგენილი აქვთ სათანადო დოკუმენტები (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). ხოლო მეოთხე კლასში ძირითადად სახელმძღვანელოს, თუმცა, კურიკულუმებში მათი ჩამონათვალი ხშირად ზოგადია. **რჩევა**: სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ.რესურსის გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ლინკები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.

2.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომებით, უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, რომლებმაც წარმოაჩინა რომ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების (ინდ. სასწავლო გეგმის) შემუშავებითა და დანერგვით, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს.

	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაა და ინტერვიუს დროს მიღებული პასუხები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ უცხოური ენების კათედრის მასწავლებლები მოსწავლეებს განიხილავან სასწავლო პროცესის აქტიურ სუბიექტებად და გააზრებული აქვთ რომ მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას ყველა შესაძლებლობის მოსწავლისთვის. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს მაგალითები თუ როგორ აძლევენ სხვადასხვა აკადემიური მოსწრების და შესაძლებლობების მოსწავლეებს დიფერენცირებულ დავალებებს. სამწუხაროდ მსგავსი დავალებების არსებობა დოკუმენტალურად არ დადასტურდა მოთხოვნილი შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებში. **რჩევა:** საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული დავალებები მატერიალური სახით შეინახონ და ამითი კათედრაზე შეიქმნება ე.წ. დავალებების ბანკი.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს რომ სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს შესაბამის რესურსებს, შემოქმედბითი დავალებების პროდუქტის შექმნის დროს არჩევანის შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს. მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, სასწავლო რესურსების შერჩევა და გარემოს ადაპტირება.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლომ პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას.
მათემატიკა	ზოგიერთი კლასის კურიკულუმს, მაგალითად მე-6, მე-7, მე-10 თან ახლდა შესასრულებელ დავალებათა (ტესტური დავალებები, გადმოაგზავნეს ვიზიტის დღეს) ნუსხა, სადაც ჩანს მცდელობა დიფერენცირებული სავარჯიშოების გამოყენების, რაც სწავლების ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებას უწყობს ხელს. კურიკულუმებთან ერთად გამოგზავნილია რამდენიმე ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც.

	რჩევა: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში ან თანმხლებ დოკუმენტებში გაიწეროს კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებული სწავლების - სირთულის დონის, თემის მიწოდების ფორმის ან დროის მართვის მიხედვით.
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია თემებში და დავალებებში.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და უზრუნველყოფს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ისწავლონ ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების შესაბამისად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დაწყებით საფეხურზე არ არის სსსმ მოსწავლე. სკოლა მცირეკონტიგენტიანია,რაც შედარებით ამარტივებს სამუშაოს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმვას. შერჩეული სასწავლო რესურსები, თემები მიგვანიშნებს, რომ სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, მოსწავლეებთან, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, საჭიროებებს. იზომება მოსწავლის პროგრესი. მაგ: მათემატიკაში გამოყენებულია დიფერენცირებული სავარჯიშოები, რაც სწავლების ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებას უწყობს ხელს. ქართულ ენაში მოსწავლეებს მიეწოდება ვერბალური ინფორმაცია, ვიზუალური, აუდიო და ვიდეო მასალა. დაწყებით საფეხურზე სრულად არის ასახული თითოეული დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით.

2.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. სკოლის წარმოდგენილი აქვს მათ მიერ შუმუშავებული სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების ცხრილები, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის (განმსაზღვრელი შეფასებას სკოლა აწარმოებს სამივე კომპონენტში: საკლასო დავალება, საშინაო დავალება და შემაჯამებელი დავალება). წარმოდგენილი ცხრილები არის ზოგადი. **რჩევა**-სასურველია შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, (მრავალფეროვანი ინსტრუმენტების შემოტანა), შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება. ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იყენებენ მრავალფეროვან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, კერძოდ, საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა, საკლასო დავალების შეფასების რუბრიკა, თვითშეფასება, კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა, შეაჯამებელი დავალების ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იძებნებოდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საზოგადოებრივი მეცნიერებების თითოეულ საგანში, აღნიშნულიდან გამომდინარე ვიზიტის დროს გამოვითხოვე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, თუმცა სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილ მასალებში კვლავ არ იძებნება აღნიშნული.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. სკოლის წარმოდგენილი აქვს მათ მიერ შუმუშავებული სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების ცხრილები, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის (განმსაზღვრელი შეფასებას სკოლა აწარმოებს სამივე კომპონენტში: საკლასო დავალება, საშინაო დავალება და

	შემაჯამებელი დავალება). წარმოდგენილი ცხრილები არის ზოგადი და არ არის მორგებული უცხოური ენის სწავლა-სწავლების მიზნებს. ამ ცხრილების საფუძველზე უცხოური ენების კათედრის მასწავლებლებს სრულიად შეუძლიად კონკრეტული დავალებისთვის უცხოურ ენაში კონკრეტული შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნა. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რით იხელმძღვანელებენ კონკრეტული დავალებისთვის მორგებული შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის დროს, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ გაითვალისწინებენ პირველ რიგში კონკრეტული დავალების ხასიათს თუ რას ამოწმებს ეს დავალება (მაგ. მოსმენილის ან წაკითხულის გააზრებას თუ კონკრეტული გრამატიკული ან ლექსიკური ცოდნის შემოწმებას თუ რამე ტექსტის შექმნას ზეპირად თუ წერით) და კიდევ იხელმძღვანელებენ ესგ-ში საგნის სტანდარტში მოცემულ ე.წ. შედეგ-ინდიკატორებით. მასწავლებლების ასეთი პასუხის გამო ჩავთვალე, რომ კათედრა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს. **რჩევა:** კათედრამ ცალკე შეიმუშაოს უცხოური ენების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა. შემაჯამებელი დავალებების შექმნის დროს მიუთითონ ესგ- ში მითითებული შედეგები, რომლის შემოწმებას აპირებენ ამ დავალების საშუალებით და შექმნან შეფასების რუბრუკები (თუ შემაჯამებელი დავალება ამოწმებს რამოდენიმე მიმართულებას მაგ. მოსმენას, კითხვას, გრამატიკას და წერას თავისთავად ყველა მიმართულებას (დავალებას) ექნება თავისი შეფასების რუბრიკა.)
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მუსიკის საგანში შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში შეიქმნას: განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების,მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თემის ფარგლებში, შედეგების მიღწევის ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. უმჯობესია საშუალო საფეხურზე

	პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში.
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ; ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). კომპლექსური ბუნების დავალებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიის მიხედვით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი
მათემატიკა	კურიკულუმებთან ერთად საგნობრივ ექსპერტს გადმოეგზავნა ზოგადი შეფასების რუბრიკები, გასაუბრების შემდეგ კი თემების მიხედვით დაკონკრეტებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რაც მიუთითებს შეფასების სისტემის სტრუქტურულად არსებობაზე. გასაუბრებისას კი გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენონ ეს რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებთან მოსწავლის შეფასებისთვის.
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი.
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით შეფასება ეფუძნება როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების გამოვლენას. შეფასება ემსახურება მოსწავლის პროგრესის დაფიქსირებას და განვითარების ინდივიდუალურ დაგეგმვას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გადმოგზავნილია საკმაო რაოდენობის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად შეფასებას ექვემდებარება მოსწავლის კონკრეტული აქტივობა/დავალება, ასევე პროდუქტი.

	გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენონ რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებთან მოსწავლის შეფასებისთვის. **რჩევა:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.

2.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების/ თვითშეფასების რუბრიკები
- საგნობრი კათედრების სხდომების ოქმები
- დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები
- შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები
- კომპლექსური დავალების ბარათები
- კლუბური მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად, სამივე საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები გაწერილია სავალდებულო თემებით და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებით, რომლებიც საჭიროებს დახვეწას. **რჩევა:** კურიკულუმების შექმნის / ცვლილების დროს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენი აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე სასურველია კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი,ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვანი საკითხების შესწავლისა და სიღრმისეულად გაცნობის საშუალებას, კომპლექსური ბუნების დავალებები კი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, უბიძგებს მას განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტები. არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლის თვითშეფასების ფორმაში მოცემული აღწერილობის თანახმად, გარდა კომპლექსური დავალებებისა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს საკლასო თუ სასკოლო პროექტები. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ გეგმავენ ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირების გაძლიერებას.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს მიღებული პასუხებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი სამივე უცხოურ ენაში დაგეგმილია და მიმდინარეობს შედგენილი კურიკულუმების მიხედვით. აგრეთვე სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის შექმნის და განვითარების დოკუმენტები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები მუდმივად განიცდიან მოდერნიზაციას (ცვლილებას) ეს დაკავშირებულია სასწავლო პროცესში გამოჩენილი ან სურთულეების გამო ან რამე სიახლეების დანერგვის გამო და ა.შ. სამივე ენაში (ინგლისური, რუსული, გერმანული) შექმნილ კურიკულუმებში არის შემოქმედებითი ტიპის დავალებები, ინტერვიუს დროს შესრულებული დავალების აღწერით მასწავლებლების მიერ დამტკიცდა, რომ კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმების შესაძლებლობას. **რჩევა:** კურიკულუმების შექმნის / მოდერნიზების დროს სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმების ფორმაში დაამატონ კონკრეტული თემის გავლას დაახლოებით რამდენი აკადემიურ საათს დაუთმობენ. აგრეთვე კურიკულუმების ფორმას დაუმატონ ერთი სვეტი რომელშიც ჩაწერენ იმ ცვლილებებს რომლებსაც განახორციელებენ სასწავლო პროცესის დროს ან ცალკე დოკუმენტად ჩაწერონ ეს ცვლილებები, რომლებიც იქნება გათვალისწინებული მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოადგენს 2024-2025 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწავლო პროცესი წარიმართებოდა წარმოდგენილის შესაბამისად. **რჩევა**-კათედრამ სამუშაო პროცესის გაანალიზების და შედეგების შეჯამების შემდეგ, პროცესში წარმოშობილი წინააღმდეგობების შესაბამისად, ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს.
მათემატიკა	კურიკულუმებში თემების ჩამონათვალი სამივე საფეხურზე კარგად ფარავს სტანდარტით გათვალისწინებულ სასკოლო მასალას. ასევე, გასაუბრებისას აღნიშნეს რომ საბაზო და სა შუალო საფეხურზე ხშირად ცვლიან თემათა თანმიმდევრობას, მაგ: მე-11 კლასში ყოველთვის სიმრავეებით იწყებენ სწავლებას, ხოლო კურიკულუმსი მითითებულია პირველ თემად ტრიგონომეტრიული განტოლებები და უტოლობები. **რჩევა:** საბაზო საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის თანმიმდევრობა ემთხვეოდეს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემათა თანმიმდევრობას. თუ კლასის საჭიროებიდან გამომდინარე საკითხები გადანაცვლებულია, დამატებულია და ა.შ. ეს ცვლილებები აისახოს კურიკულუმებშიც.
სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საფეხურის სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტრუქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები, სადაც გარკვეული წარმატებაც აქვთ.

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რაც უზრუნველყოფს სწავლის მიზნებისა და შედეგების სისტემურ მიღწევას. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც აძლიერებს მოსწავლის კომპეტენციებს. სწავლის თემები, აქტივობები და შეფასება კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებზეა ორიენტირებული და ეტაპობრივად ავითარებს საჭირო უნარებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმს კათედრა მოიაზრებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან გზად, რამდენადაც მასში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გამოგზავნილი, მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. კურიკულუმებში თემების ჩამონათვალი ფარავს დაწყებითი კლასების საგნების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებულ სასკოლო მასალას. თუმცა, ზოგან ინფორმაცია მეორდება ან ზედმეტად დეტალურად არის წარმოდგენილი, რაც აღსაქმელად არის რთული.(მაგ:მათემატიკა მეორე, მესამე, მეოთხე კლასები). **რჩევა:** სასურველია, საკითხები გაერთიანდეს საკითხთა კლასტერებად.

2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მიზანმიმართულად ცდილობს საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზებას და ოპტიმიზაციას გარემოებისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე მორგებით. არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგიური გუნდის მხრიდან გამოვლენილ საჭიროებებზე სკოლა დროულად რეაგირებს. ამის მაგალითია როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შეთავაზება კონკრეტული აკადემიური ან სოციალურ-ემოციური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებელთა შორის გადანაწილების ან საათობრივი განრიგის კორექტირება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სკოლა აქტიურად იყენებს უკუკავშირის მექანიზმებს (კონსულტაციები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მშობელთა შეკრებები), რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებას. გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ეფუძნება მონაცემებს და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებაც ხდება შესაბამისი ანალიზის საფუძველზე. საგანგებო შემთხვევებში (მაგალითად, ტექნიკური შეფერხება, ქცევითი ინციდენტები ან დროებითი დისტანციური სწავლება), სკოლამ არაერთხელ აჩვენა ორგანიზაციული მოქნილობა და ოპერატიულობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა გამოირჩევა ადაპტაციისა და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომით, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან და ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს.

2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. *რჩევა:* კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს.ასევე სასურველია შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მოაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეებისთვის ნათელია თუ რის მიხედვით ფასდებიან ისინი, იციან, თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის გამჭირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა რომ კათედრამ ვერ წარმოადგინა უცხოური ენებში კონკრეტულ დავალებას მორგებული კონკრეტული შეფასების რუბრიკები, სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები და მასწავლებლების პასუხები ინტერვიუს დროს თუ როგორ აფასებენ მოსწავლეებს გვაძლევს საშუალებას დადებითად შეუფასოდ ეს ინდიკატორი. კერძოდ მასწავლებლებმა ბრძანეს, რომ მოსწავლეებმა ყოველთვის ზუსტად იციან თუ რაში იქნებიან შეფასებული ამა თუ იმ დავალების შესრულების დროს, კრიტერიუმებს მასწავლებელი აცნობს წინასწარ და გამოკრული არის თვალსაჩინო ადგილას...

	რჩევა: კათედრამ ცალკე შეიმუშავოს უცხოური ენების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასების რუბრიკები უცხოურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილია მუსიკის საგნის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. კათედრაზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კურიკულუმში არსებული შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მიხედვით, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. **რჩევა** -კათედრის მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მეტი ვალიდურობის, გამჭვირვალების და ობიექტურობისათვის სასურველია დაზუსტდეს - რა შემთხვევაში იწერება ესა თუ ის ქულა. ასევე, სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანდეს ის ცნებები და ქვეცნებები, რომლის შესწავლაც ხდება თემებში. უმჯობესია საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რომელიც გულისხმობს მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი.
მათემატიკა	სკოლამ გადმოაგზავნა ჯერ ზოგადი, შემდეგ კი ცალკეული თემის მიხედვით შეფასების რუბრიკის თითო ნიმუში, რითაც გამოჩნდა მცდელობა, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი .

	რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკების არსებობა ყველა თემის შესაბამისად რაც გაწერილია კურიკულემებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ამ რუბრიკებში ქულათა განაწილებას.
სპორტი	შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებელები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის.
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა უზრუნველყოფს რეალურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე დაფუძვნებულ შეფასებას, რაც აისახება მათ კომპლექსური დავალებების გასწორებისას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს, შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მასწავლებლები, წესისამებრ, აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს. მოსწავლეებმა იციან, რისი შეფასება აქვს მასწავლებელს განსაზღვრული. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნების შეფასების მიზნით. **რჩევა:** სასურველია, რომ შეფასების სქემა თან ერთვოდეს ყველა შემოქმედბითი დავალებას, რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება.

2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლა შეფასების პირველ მოდელს იყენებს. სამკომპონენტიანი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მოქმედ სტანდარტთან შესაბამისი რუბრიკების შექმნა და გამოყენება სასწავლო პროცესში. სკოლამ წარმოადგინა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შექმნილი შეფასების რუბრიკები, რომელსაც იყენებდნენ 2024-2025 სასწავლო წელს შეფასებისათვის და სწავლის შედეგების გაზომვისა და გაანალიზების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა დოკუმენტში არ არის ასახული/ გადანაწილებული კონკრეტული ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოებაზე. ამასთან დაკავშირებით მიცათ რჩევა, რომ გაითვალისწინონ აღნიშნული. სკოლა ამჟამად მუშაობს ამ დოკუმენტის დახვეწაზე. საგნობრივი კათედრების წევრები კი აანონსებენ, რომ კათედრის სხდომებზე განხილავენ შეფასების სისტემის (ან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხს და ამ დისკუსიის შედეგად დახვეწენ შეფასების ინსტრუმენტებს. საერთო შეფასებით, მათ აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია.

2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების აღრიცხვა - შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა წლიური შეფასებები და სხვადასხვა ცნობები. მათზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმის მწარმოებელს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ყველა თანამშრომელი იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს და აწვდის ყველა მოთხოვნილ მონაცემს ადმინისტრაციას. სკოლა ინახავს კანონით განსაზღვრული ვადით არსებულ მონაცემებს.

2.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შეფასების რუბრიკები;**
- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **კათედრების ოქმები;**
- **შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.**

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. საგანში (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა)კურიკულუმები შემუშავებულია გრფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ბმულები მოცემულია კურიკულუმებში) სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მითითებულია სხვადასხვა დამხმარე სასწავლო რესურსები, როგორიცაა: ინტერნეტ რესურსები, მათ შორის: სტატიები, რუკები, გრაფიკები, დიაგრამები, ანიმაციები, ვიდეოფილმები და ა. შ. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. სამივე საგანში (ინგლისური, რუსული, გერმანული) კურიკულუმები შემუშავებულია გრფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ლინკები მოცემულია კურიკულუმებში)
ესთეტიკური აღზრდა	კათედრა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ამასთან აქტიურად იყენებს თვალსაჩინოებებს, აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსით აღჭურვილი ოთახი, კომპიუტერები და შეუძლია სხვადასხვა ელექტრონული ბმულების, აუდიო თუ ვიდეო მასალის გამოსაყენებლად ინტერნეტთან წვდომა.

სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე.გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა.
მათემატიკა	სკოლამ გადმოაგზავნა ჯერ ზოგადი, შემდეგ კი ცალკეული თემის მიხედვით შეფასების რუბრიკის თითო ნიმუში, რითაც გამოჩნდა მცდელობა, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი . **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკების არსებობა ყველა თემის შესაბამისად რაც გაწერილია კურიკულემებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ამ რუბრიკებში ქულათა განაწილებას.
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადსხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას. ძირითადი რესურსი ელექტრონული სახელმძღვანელოა, დამხმარე კი ვიდეოგაკვეთილები, პრაქტიკული პროექტები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს,ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.

2.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, რესურსები ლოგიკურადაა შერჩეული და მიმართებაშია თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებთან, ასევე მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების სანდოობას.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე თუ რა პრინციპებით და როგორ ადგენენ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს მასწავლებლებმა გასცეს პასუხი რომ სასწავლო წლის განმავლობაში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან (თემა, მიზნები და ა.შ.) **რჩევა:** სასურველია კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს ცალკე დოკუმენტად ან ცალკე სიით დამატებითი დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რომელიც წარდგენილი იქნება კათედრის პირველ ოქმის დანართად და სკოლის/ადმინისტრაციის სათანადო პირმა გამოიკვლიოს ამ რესურსების ვალიდობა / ან თავად კათედრამ დაადგინოს ამ რესურსების ვალიდობა.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების

	შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.
მათემატიკა	არც ერთ დოკუმენტში არ ჩანს, როგორ შეირჩა დამხმარე რესურსები, თუმცა ისინი რაც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება. **რჩევა:** სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწვალო რესურსის ვალიდაციას
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას. ასეთი რესურსები ხელს უწყობენ მოსწავლეს განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით. არც ერთ დოკუმენტში არ ჩანს, როგორ შეირჩა დამხმარე რესურსები, თუმცა ისინი რაც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება. **რჩევა:** სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

2.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. სკოლას და კერძოდ საბუნებისმეტყველო კათედრას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი რომ უზრუნველყონ კურიკულუმებში გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. მაგალითად, კათედრას შეუძლია გამოიყენოს სკოლაში არსებული ლაბორატორია, არსებული ინვენტარით, ასევე პროექტორი საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში არის ინტერნეტი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მოსწავლეები სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. სკოლას და კერძოდ უცხოური ენების კათედრას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი რომ უზრუნველყონ კურიკულუმებში გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. მაგალითად, კათედრას შეუძლია გამოიყენოს სკოლაში არსებული კომპიუტერი და პროექტორი საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში არის ინტერნეტი
ესთეტიკური აღზრდა	კლას-კაბინეტში განთავსებულია ესთეტიკის საგნების სწავლებისთვის შესაბამისი რესურსი: საკრავები, თვალსჩინოებები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნისათვის განკუთვნილი მასალა, დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და გამართული ინტერნეტი.
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. (პრეზენტაციისთვის, საკლუბო მუშაობისას)

მათემატიკა	ზოგიერთ კურიკულუმში და კომპლექსური დავალების ბარათებში ჩანს, რომ ზოგი აქტივობა ითხოვს გარკვეული მასალების ან ტექნიკის გამოყენებას (მაგალითად, საზომი სახაზავი, დაფა, კომპიუტერი). პედაგოგების თქმით, სკოლის მხრიდან ამ ნივთების მიწოდება უზრუნველყოფლია და იყენებენ კიდეც.
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს დარბაზში თუ გარე მოედანზე, რათა ეფექტური იყოს გაკვეთილი. გამოყენებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს რაც მოცემულია კურიკულიმში.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. ტექნოლოგიების ლაბორატორია გამართულია და გათვლილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოიყენოს რესურსი და მიიღოს შესაბამისი განათლება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო ოთახებში არსებული მერხები შეესაბამება დაწყებითი საფეხურის მახასიათებლებს, საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სასწავლო რესუსრები მათემატიკის, ქართული ენის, ბუნებისმეტყევების კურიკულუმების განხორციელებისათვის.

2.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

დღეის მდგომარეობით, სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლაში დასაქმებულია 20 მასწავლებელი. სკოლის მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, არის მაგისტრი, ან მასთან გათანაბრებული. სკოლაში მუშაობს 3 წამყვანი, 16 უფროსი, 1 მოწვეული მასწავლებელი. სკოლის პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. პედაგოგის შესარჩევი კომისია არის მრავალფეროვანი, კერძოდ: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, პროფესიული კავშირების წარმომადგენელი, სკოლის წარმომადგენელი. შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრს.

2.2.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება გარე კონკურსის გამოცხადებაზე
- კონკურსის დებულება
- გასაუბრების ოქმი
- შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის

შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლის პედაგოგიკური პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და იდენტიფიცირება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პედაგოგები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. მასწავლებლები აპირებენ, რომ ამ დოკუმენტის მიხედვით მოახდინონ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება.

2.3.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები განხორციელებული შემოქმედებითი დავალებელის რევიზიის დროს გამოკვეთენ გამოვლენილ პრობლემებს და თანამშრომლობით გამოიკვლევენ მათი გადაჭრის გზებს, რასაც სამომავლოდ ასახავენ შესაბამისი დოკუმენტაციით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი სახით, თუმცა სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც იკვეთება საკვანძო საკითხები სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასთან მიმართებით. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის.

2.3.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარება და მხარდაჭერა. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული დებულების მიხედვით. თითოეული წარმოდგენილი ჯგუფი ახდენს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას და შედეგების ანალიზს, დაკვირვების შედეგები განიხილება მასწავლებელთან ერთად და გაიცემა რეკომენდაციები მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად. პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ

მონიტორინგს და გასცემენ განვითარებაზე ორიენტირებულ, არგუმენტირებულ უკუკავშირს. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. მონიტორინგსა და შეფასებას საკუთარ საქმიანობაზე. მასწავლებლები თავად ახორციელებენ, გაკვეთილზე ურთიერთდასწრებით. მიღებული უკუკავშირის შედეგად ყურადღებას ამახვილებენ იმ საკითხებზე, რომლებიც ეხმარება ასახონ გაუმჯობესების გზები და ეხმარება პრობლემის გადაჭრაში. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები, კათედრის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს, შემაჯამებელ დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს. გამოკვეთენ პრობლემურ საკითხებს და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გაუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი. **2.3.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია
- თვითშეფასების ამსახველი დოკუმენტები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების უპირატესობას, რაც მოიაზრებს გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სწავლის შედეგების დიაგნოსტირებას მოსწავლის შემდგომი წინსვლის მიზნით. მოსწავლეთა შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმსაზღვრელი (V-VI კლასები) და განმავითარებელი შეფასების (I-VI კლსები) რუბრიკებით, ეყრდნობა შემაჯამებელი ტიპის დავალებების შედეგებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა , რომ ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე დაყრდნობით აწარმოოს ჰოლისტური შეფასება. კერძოდ, სასკოლო საზოგადოებას აქვს სწორი ხედვა რომ შეფასება იყოს ინტეგრირებული და ერთიანი და ამასთან, მონაცემების შეგროვება მოახდინონ სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. კათედრამ ინტერვიუს დროს განმარტა, აქვთ ასეთი პრაქტიკა (მაგ: კათედრის შეხვედრის ოქმი, ურთიერთდასწრების ფორმები) რომელიც წარმოაჩენს წყაროებსა, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომლის საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. პროცესს გააძლერებენ მომავალი სასწავლო წლიდან.

2.3.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

პედაგოგებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება შეფასების რუბრიკების მიხედვით. რომლის დახვეწა სამიზნე ცნებებთან მიმართებაში მოხდა ვიზიტისას. ასევე **დაწყებითი კლასების** კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი, რაც თითოეული მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეფასების საშუალებას იძლევა. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა , რომ შეფასება განახორციელოს მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, რაც იძლევა მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მისი მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. კერძოდ, მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. რაც შეეხება მასწავლებლის მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევას, მათი თვალსაზრისით, ამ პროცესის მიზანია, შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტსაც ითვალსიწინებს. ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

2.3.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ხედვის სხვადასხვა პერსპექტივას, მოსწავლეზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები და დიფერენცირებული მიდგომის მეთოდები. გასაუბრებისას გამოიკვეთა კათედრის წევრთა მზაობა ურთიერთდაკავშირებულად, სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით მოახდინოს დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მაგალითად, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ.

2.3.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა განვითარების მეთოდოლოგია;**
- **მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირების მასალები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის სრულყოფილი სახით, თუმცა აპირებენ განახლებული დოკუმენტის შემუშავებას დათქმულ ვადაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა, რომ მოახდინონ მიმდინარე პროცესების მუდმივი შესწავლა და რეფლექსია მათზე. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძალისხმევა მიმართონ დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. კერძოდ, ისინი იცნობენ კონკრეტულ საკვანძო საკითხებს, რაც განაპირობებს ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებას.ესენია მაგალითად, წლის მანძილზე დაგროვებული გამოცდილება, ამ გამოცდილების გათვალისწინებით გასაზიარებელი გამოცდილება სასკოლო საზოგადოებაში, ახალი წლის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ასპექტები ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე და ა.შ.

2.4.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

საგნობრივი კურიკულუმების განვითარება ეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ მზაობა, კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ჩართული იყოს ყველა მასწავლებელი. ამასთან, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

2.4.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი: 11.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნანა ედიშერაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ირმა ტატიშვილი

მარინე ვაჩეიშვილი

ქეთევანი ლარცულიანი

ვალერიანე ვოლჩანსკი

ინგა ხრიკაძე

ლია ნადირაძე

თეოდორა ლემონჯავა

ჯულიეტა ტაბეშაძე

გიორგი კოპლატაძე

ნინო მახარაშვილი